

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №7 (1517) 27-30 იანვარი, 1997 წელი
ბათუმის ორგანიზაციით და ხუთშაბათოვლით

მე ვარ ანტიქრისტიანი

ყველა ერის წინამძღოლსა და მესაჭეს დედამიწაზე

გასული წლის ნოემბერში პრეზიდენტის კანცელარიაში მიღებულია ანტი-ქრისტიანული წერილი ავსტრალიიდან. კაცი, რომელიც ანტიქრისტიანულ აცხადებს თავს, შერევილად წარმოგვიდგებოდა, რომ არა ერთი გარემოება - იგი ავსტრალიის ქრისტიანული შტატის პარლამენტის ოპოზიციის ლიდერი გახლავთ. ამ წერილს ვებუძვალთ იმ აზრით, რომ გავეცნობიეროთ - სატანისტების შემოტევა მითის სფეროს აღარ განეკუთვნება, მით უფრო გვემართება აურაცხელი სექტების პარპაშის პირობებში მტკიცედ შეკავშირება მართლმადიდებლური სარწმუნოების გარშემო.

ვახტანგ გოგუაძე:
ბატონი ნოდარ
ნათამე
სიკვდილით
დასჯის
წინააღმდეგობა,
ოლონდ ჩემს
ბარდა
მე-7 გვერდი

მესამე გვერდი

ნუგზარ ფოფხაძე:
... გავეფრთხილეთ,
დადგება ღრმ,
როცა ამ ამბავს
საჯაროდ
მოვხვებით-მეთქი.
ეს ღრმს დადგა,
ღღღღღ!

მეორე-მეათე გვერდი

ლატარია 552990
ყველა ასაკისთვის
5000
ტანად 3 შანსი 20 მინუტში

24 იანვარს
გამართული
ტირაჟის უძებნები

მეთორმეტე გვერდი

ინფორმაცია
დადავორდი
კაიფორდი

სად მიდის მოსწავლეებისაგან აკრედიტი თანხა?

საბანკო კორესპონდენტის ცნობით, მკათე-მეთერთმეტე კლასებში სწავლისათვის ოფიციალური მინიმალური გადასახადი წელიწადში 85 ლარს შეადგენს, ხოლო დაწყებით კლასებში, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად - უფასოა.

როგორც ირკვევა, გადასახადს სწავლებაზე აწესებს ყველა სკოლის ადმინისტრაცია. თბილისის 55-ე სკოლაში დაწყებითი და საშუალო კლასები ყოველთვიურად 10 ლარს იხდიან. ხოლო უფროსკლასელები 30 ლარს. (სკოლაში დაახლოებით 2500-მდე მოსწავლეა). ანტიწმული ფაქტის დაფარვა რეფორმის ნაკლად შეიძლება მიჩნეულიყო, რომ არა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის მოსმენაზე 55-ე სკოლის დირექტორის პარკეტელაშვილის განცხადება, სადაც მან ფინანსური დახმარებისათვის პარლამენტს მიმართა. მისი თქმით, სკოლა საკვალად მდგომარეობაშია და მასწავლებლებს დღემდე არ მიუღიათ დეკემბრის თვის ხელფასი. იბადება შეკითხვა, სად მიდის მოსწავლეებისაგან აკრედიტი თანხა? (იფრინდა)

საქართველოს დელეგაციის ინგლისში ვიზიტთან დაკავშირებით

პარლამენტის პრეს-ცენტრის ცნობით, ინგლისში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზუგუნია, 24 იანვარს ინგლისურენოვანი კავშირის-ს შტაბ-ბინაში კონფერენციის დაწყებამდე, შეხვდა დიდი ბრიტანეთის სახ. მინისტრს ნიკოლას ბონსორს. მისი მისასალმებელი სიტყვის შემდეგ კონფერენცია გაიხსნა ზუგუნია ვრცელი მოხსენებით კავკასიის დღევანდელი მდგომარეობის, ისტორიისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, რის შემდეგაც გაიმართა ფართო დისკუსია სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

იმვე დღეს ზუგუნია უესტმინსტერის სასახლეში შეხვდა თემთა პალატის სპიკერს ბეტი ბუთერფელს, რომელმაც საქართველოსადმი დიდი ინტერესი გამოამჟღავნა. სასახლეში ზუგუნია უმასპინძლა ტრანსპორტის მინისტრმა ლორდ გოშენმა. შეხვედრისას განიხილეს საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის სატრანსპორტო კავშირების განვითარების საკითხები. აპრილში მოსალოდნელია პარიზში ეარევის-ის რეგულარული რეისის დანიშვნა თბილისი - ლონდონი. ისაუბრეს აგრეთვე ფოთის, ბათუმის (პერსპექტივაში სოხუმის), პორტების ერთობლივი ექსპლუატაციის, ნავსადგომის საკითხებზე.

ზუგუნია ასევე შეხვდა და ესაუბრა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რიკინდს და თემთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს დევის პოველს. უესტმინსტერის სასახლეში, ბრიტანული ტრადიციის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საპატივცემულოდ მოეწყო საზეიმო ცერემონიალი - მსულელობა ლორდთა პალატის მიმართულებით. (იფრინდა)



ვინ იყო ვინ?

მასალოში საქართველოს ისტორიის მთავალი მემკვიდრისათვის

ნუგზარ ფოფხაძე:

... გავაფრთხილა, დადგა ღრმ, როცა ამ ამბავს საჯაროდ მოვუხიბი-მეთქი. ეს ღრმს დადგა, დღეს!

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №70,71,72, 1996 წ. №1,2,3,4,5,6 1997 წ.

—რა ურთიერთობა გქონდათ ზ.გამსახურდიასთან და რასთან იყო დაკავშირებული უშუალოდ თქვენი წინადადება, მისი სახალხო ფონდის შემთხვევის საინიციატივო ჯგუფში შემავანას რომ უხეობდა?

—მოდით, ეს შეგიხიბა რა ნაწილად გავყოთ. ჯერ, რაც შეეხება ურთიერთობას.

სამწუხაროდ, ყოველივე ის განვიტარდა, რომ მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა ბ-ნ ზვიად გამსახურდიასთან ვერ აეწყო. არადა, ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს საჭირო იყო ორივე მხარისთვის და არგებდა კიდევ საერთო საქმისთვის.

ათი თვის მანძილზე, პირადად მე, როგორც ცკ-ს მდივანი, „თავს რომ არ ვიკლავდი“ ოპოზიციის რეალურ ლიდერთან კონტაქტებისთვის, თავისი ახსნა აქვს. ცკ-ს იდეოლოგიურ სამსახურს ბიუროს სხდომაზე ორჯერ აუკრძალეს რაიმე ურთიერთობა არა მარტო ზ.გამსახურდიასთან, არამედ, საერთოდ, „არაფორმალთა“ (მაშინდელი ტერმინია) ლიდერებთან. ამას, როგორც ჩანს, ცკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობა თავის პრეროგატივად თვლიდა. ნება მისი იყო.

პირველი საქმიანი შეხვედრა ზ.გამსახურდიასთან მისი ინიციატივით მოეწყო ჯერ კიდევ ჩემი გაზეტი „კომუნისტის“ რედაქტორობის ეამს-1987 წლის სექტემბერში.

...დამირეკა და მთხოვა მიღება. ორშაბათი მიღების დღე გახლდათ, ამიტომ(!) საუბარს რედაქციის წერილების განყოფილების გამგეც დაესწრო.

მითხრა, რომ „კომუნისტის“ რედაქტორად ჩემს დანიშვნას ეროვნული მოძრაობა კმაყოფილებით შეხვდა (ეს პოზიცია მაშინდელმა ემიგრანტულმა პრესამაც გამოხატა) და იმედი აქვს, რომ ეროვნულ საკითხებს გაზეთი ახლა მინც მერ ყურადღებას დაუთმობს, გამონახტა, ჩემი აზრით, გულწრფელი დაინტერესება და პატივისცემა. მთავარი კი, რისთვისაც მობრძანდა, იყო თხოვნა, გავრკვეულიყავი იმაში, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო „კომუნისტის“ პუბლიკაციაში მოტანილი ის ფაქტები, რომლებიც ეხებოდა „ლორეზის ქურდობაში“ ეჭვმიტანილ და მაშინ უკვე ამ საქმეზე დაპატიმრებულ „არაფორმალ“ ბორის კაკუბავას. მეც არ დამომალავს ის, რაც მან უკვე იცოდა: პუბლიკაცია მომზადდა მითითებით და გამიზნულად იმ მასალის საფუძველზე, რომელიც პარტიის, მთავრობისა და პარლამენტის ოფიციალურ ზს-გაზეთ „კომუნისტის“ ოფიციალური არხებით მოაწოდეს.

ეტყობა, ჩემმა გულწრფელობამ ისიც სათანადოდ განაწყო და მთხოვა, საერთოდ დავინტერესებულიყავი კაკუბავას „საქმით“, რომელიც, მისი



სიტყვებით, „მკარად შეთიხნილი“ იყო. დაეთანხმდი. იმის პირობაც მივეცი, რომ, თუ მომწოდებდა „ფალსიფიკაციის“ დამადასტურებელ დოკუმენტებს, უკან არ დავიხვედი. ზ.გამსახურდიას მიერ მოწოდებული დოკუმენტებით „შეიარაღებულმა“ ვეცადე დამეწმენებინა ცკ-ს პირველი მდივანი იმაში, რომ პოლიტიკური აუცილებლობიდან გამომდინარე და „არაფორმალუბლებთან“ გულწრფელი და რეალური თანამშრომლობის სტრატეგის ხელშეწყობა, საჭიროდ მიმაჩნდა რესპუბლიკის პროკურატურას უფრო „ღრმად“ ჩაეხედა ამ „საქმეში“. პატიაშვილი კეთილგანწყობით მოეცა ამ თხოვნას და მირჩია, „წამემუშავებინა“ რესპუბლიკის პროკურატორთან ვ.რაზმაძესთან.

რაზმაძის, გონიერი და გაბედული კაცის, დარწმუნება არ გამჭირვებია და... რამდენიმე დღეში გამომიგზავნა კიდევ კაკუბავას ხელით დაწერილი „დასარება“, რომლიდანაც აშკარად ჩანდა, რომ ის საერთოდ „არ იცნობს“ და არც შეხვედრია ზ.გამსახურდიას, რომელიც თავისი ინიციატივით „ეჩრება“ მის საქმეში, რომ იგი ითხოვს გადახედონ მის „საქმეს“ და ა.შ.

ერთი სიტყვით, რალაც „გარიგება“, ეტყობა, მომხდარა, დაკავებული კაკუბავა განთავისუფლდა.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კაკუბავა პროკურატურის „კლანჭებს“ თავს ვერ დაადწევდა, რომ არა ზ.გამსახურდიას ძალისხმევა.

ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ

გადის რამდენიმე თვე და... იმ ცნობილ ვიდეოჩანაწერზე, რომლის უნიკო მონტაჟი საქართველოს ტელევიზიამ ორჯერ უჩვენა მაყურებელს და რომელზედაც აღბეჭდილია „არაფორმალთა“ ორი მხარის დაპირისპირება, კაკუბავა ზ.გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა რიგებში დაეინახე. მაშინ ღრმად ჩახედული არ ვიყავი მათ დაპირისპირებაში, მაგრამ გულში გამკრა, რომ უმაღლესობა, ეტყობა, მარტო ზოგიერთი ჩემი კოლეგის ხასიათისთვისაა არ ყოფილა.

... იყო სხვა შეხვედრებიც, საგანგებოდ კეთილგანწყობილი, მაგრამ „კომუნისტის“ პუბლიკაციების („შეიცან თავი შენი...“, „სარველა“) შემდეგ რა „მეგობრულ“ ურთიერთობაზე შეიძლება ფიქრი და საუბარი. ადამიანურად ისიც გასაგებია, თუ შემდგომ რატომ არ მაკლდა მისგან-არც სიტყვიერი და არც პუბლიკისტური „ლოცვა-კურთხევა“, განსაკუთრებით ტელევიზიით.

სხვათა შორის, ეს პუბლიკაციები დღემდე იწვევს საზოგადოების პრინციპულ ინტერესს. ზ.გამსახურდიას „ფანატებს“, რა თქმა უნდა, პასკვილებად მიაჩნიათ და მათი ორგანიზატორ-ავტორებისთვის ვერ უპატივბიათ ეს უხეობა. ამთავითვე ვალაიარებ, რომ ისინი აბსოლუტურად მართლები არიან.

ზ.გამსახურდიას მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ამ წერილების გამოქვეყნებით მოხდა მისი, ჯერ ერთი, როგორც „დისიდენტის“ რეაბილიტაცია, და მეორე, როგორც პოლიტიკური მოღვაწის რეინიციაცია. ამის გამო მაშინდელ ხელმძღვანელობას და სუეს ამ პროცესის „შეგეზულ“ პროვოცირებას აბრალებენ.

ობიექტურობა მოითხოვს იმის

თქმას, რომ ეს „ბრალდება“ ნაწილობრივ მაინც, უსაფუძვლო არ არის.

მაგრამ ყველაზე პარადოქსული ის არის, რომ... არც მე ვარ მტყუანი!

—გამოდის, რომ სამივე-ან არც ერთი მხარე „არ სცოდავს“, მტყუანი ვინდაა?

—მსგავს შეგიხიბაზე, მოლა ნასრედინმა უპასუხა, შენც მართალი ხარ...

მოდით, ოდნავ გადავხვიოთ პირდაპირი პასუხის გზას.

იმის ნაცვლად, რომ ობიექტურად გააანალიზონ ზ.გამსახურდიას მმართველობა, დღეს, კონიუნქტურული მოსაზრებებით, ზოგიერთები მისი ლანძღვა-გინებით გულს იოხებენ და „ქულებსაც“ აგროვებენ მისდამი საზოგადოების კრიტიკულად განწყობილ ნაწილში. მანამდე მის წინამორბედებს აგინებდნენ... ასეა, ზოგს სინდისი მართავს, ზოგსაც — წუთიერი კერძო ინტერესი.

„გარდაცვლილებზე“ არაფერი, ან კარგი! — ამ კლასიკური ფორმულიდან განსხვავებით, ჩემთვის პრიორიტეტულია სხვა სიბრძნე: „გარდაცვლილებზე“ არაფერი, ან... სიმართლე!

ზ.გამსახურდია, საქართველოში იმდროინდელი საზოგადოებრივი ვითარების გამო, აქტიურ ოპოზიციაში ედგა მმართველ კომპარტია-ზოგადად და მის წევრებს, მათ შორის მეც, როგორც იმ პარტიის ერთ-ერთ წამყვან ფიგურას-კონკრეტულად. ცივილიზებულ საზოგადოებაში ლანძღვა-გინება მდამბოთა პრეროგატივაა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პირადად მე არასოდეს, არსად არ მიკადრებია, უწინარესად, საკუთარი თავისთვის და შემდეგ-ნებისმიერი პოლიტიკური მოწინააღმდეგისთვის ის, რაც ადამიანურ ღირსებას არ ეკადრებოდა. თუმცა, შესაძლოა, ზოგჯერ სულმაც წაგძლიოს და არაერთგზის შეურაცხყოფილს სურვილიც გაგიჩნდეს მავანს „რალაცით“ უპასუხო, მით უმეტეს მაშინ, როცა გაქვს კიდევ ზოგიერთი „საქირო“ ინფორმაცია.

...ის, რომ მაშინ „კომუნისტის“ პოლიტიკურ-ქურნალისტური „აქციით“ მთლად გამოჩნდა არა მარტო მის ორგანიზატორთა არაპროფესიონალიზმი, არამედ ადამიანური უხეობაც, ეს ფაქტია! და მიუხედავად იმისა, რომ წინა პუბლიკაციაში მოგახსენეთ, პასუხისმგებლობას ვერ გავიზიარებთ ვერც რედაქცია და ვერც ავტორ-მეთქი, მაინც მინდა

გულწრფელი სინანული გამოვთქვა და ბოდიში მოვუხადო ზ.გამსახურდიას ოჯახს, უწინარესად, მის შვილებს და მაშინდელ მკითხველ საზოგადოებას.

ბოდიში იმის გამო, რომ გაზეთის იმ ნომერს, რომელშიც „პოლიტიკური კრეტინიზმი“ და უხეობის ტრესტომათიული ნიშნები დაიბეჭდა, როგორც რედაქტორი, მე ვაწერდი ხელს. გაზეთი, უწინარესად, რედაქტორის სახეა. და იგი, ისევე, როგორც ხელები და სინდისი, ყოველთვის სუფთა მინდა მქონდეს.

ამიტომ იძულებული ვარ ბოდიში მოვიხადო ამ „აქციის“ ქეშმარიტი ავტორებისა და ორგანიზატორების ნაცვლად, ვინაიდან სხვა ფაქტებთან დაკავშირებით, მათი საქციელის შემხედვარემ, დიდი ხანია ჯარს გავატანე იმის იმედი, რომ ისინი ამ ნაბიჯს, ან საკუთარ „ვაჟაკობას“ თვითკრიტიკულად აღიარებენ. ვინაიდან მათ სხვისი, მათ შორის ჩემი, რეპუტაცია არაფრად უღირთ, ამით მეც მანათილ-უფლებენ გარკვეული ტვირთიდან და მიაღვილებენ შემდგომი ნაბიჯის გაკეთებას.

ეს, რაც შეეხება ზნეობას.

ახლა პოლიტიკურ ასპექტსაც მივხედოთ. და საჯაროდ ბოდიშ-მოხდელი, სუფთა ხელებით და სინდისით, შევეცდები გავიხსენო ეს ამბავი, რადგან არანაკლებ მაწუხებს პროფესიონალი ქურნალისტისა და პოლიტიკოსის „შეღახული“ რეპუტაციის აღდგენის საკითხიც; თანაც, საზოგადოების სწორ ინფორმირებულობას და ორენტირებას კეთილად წაადგება მისამართების და ზუსტება.

მანამდე კი, ნება მიბოძეთ, ნაწილობრივ ემეჭვემ დავაწყო ამ პუბლიკაციებით ზ.გამსახურდიას „რეაბილიტაციისა“ და „რეინიციაციის“ ვერსიის საფუძვლიანობა.

დისიდენტურ სამყაროში რომ ზოგიერთებს ზ.გამსახურდიასთვის ვერ უპატივბიათ ცენტრალური ტელევიზიით გადაცემული „აღიარება“, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის მაშინ უკვე „ჩამოწერილი“ ფიგურა იყო საბჭოთა რეჟიმის საწინააღმდეგო მოძრაობაში. ასევე არავითარ „რეინიციაციას“, როგორც პოლიტიკური მებრძოლი, იგი არ საჭიროებდა. პირიქით. სწორედ იმიტომ, რომ იგი თანდათანობით კიდევ უფრო საშინო პოლიტიკური მოწინააღმდეგე ხდებოდა, აქტიური თუ „იქტიური“ „კა-გე-ბეს“ კედლებში იშევა მისი დისკრედიტაციის მცდელობის მორიგი იდეა. ოღონდ, ჩანაფიქრის ავტორები დროში შეცდნენ. „პერესტროიკის“ წლები (1987-88) კარდინალურად განსხვავდებოდა 1956 და 1977-78 წლებისგან ის, რაც ობიექტულს შეეძლო „ერწმუნა“ ან „გაეზიარებინა“ ხრუშჩოვის ეპოქაში, როცა სტალინური სისტემის შიში ჯერ კიდევ



ბასული წლის ნოემბერში პრეზიდენტის კანცელარიაში მიღებული ანტიქრისტეს წერილი ავსტრალიიდან. კაცი, რომელიც ანტიქრისტედ აცხადებს თავს, შერევილად წარმოგვიდგებოდა, რომ არა ერთი გარემოება - იგი ავსტრალიის ქრისტიანული შტატის პარლამენტის ოპოზიციის ლიდერი გახლავთ.

ამ წერილს ვებუქდავთ იმ აზრით, რომ გავიცნობიეროთ - სატანისტების შემოტევა მითის სფეროს აღარ განეკუთვნება, მით უფრო გვმართებს აურაცხელი სექტების პარპაშის პირობებში მტკიცედ შეკავშირება მართლმადიდებლური სარწმუნოების გარშემო.

ყველა ერის წინამძღოლსა და მესაჭეს დედამიწაზე

მე ვარ ანტიქრისტი

ეს და სხვა ტიტულები მე მონიჭებული მაქვს დემოკრატებისგან (შემოქმედისაგან). იგი მიკავშირდება მე ექვსი სხვადასხვა გზის საშუალებით, ესენია: წერილები, სიხმრები, სიმღერები, ინტელექტუალური აზროვნება, ხალხი და სულიერი გამოხატულება. ჩემს გვერდით არიან:

მისი ანგელოზური აღმატებულიება ნიელი უნივერსუმის (სამყაროს) ანგელოზი 2004 A.D.

მისი კოსმიური აღმატებულიება ჯინა უნივერსუმის (სამყაროს) გამოხატულება 2004 A.D.

ჩემი ეგიდის ქვეშ იყოფება 200 მილიონიანი არმია, რომელიც დისლოცირებულია პლანეტის პერიმეტრის გარეთ. ჩემი არმია მომზადებულია განადგურების ოთხ ფორმაში, ესენია: მოკვდინება, ავადმყოფობა, სგრევა და არულობა. მე ვფიქრობ, რომ დედამიწა დღეისათვის ჰგავს ძველ სახლს, რომელიც საჭიროებს დემონტაჟს. არსებული სიცოცხლე დედამიწაზე უნდა განადგურდეს ახალი სიცოცხლისათვის გზის მისაცემად.

ჩემი, ანგელოზი, დედოფალი, მე და სხვანი ვიმყოფებით დედამიწაზე ორი მთავარი მისიით: ა) ედემის ბაღის საფუძვლის ჩასაყრელად და აღსადგენად დედამიწაზე. ბ) კაცობრიობისათვის ვარსკვლავთის გზის საჩვენებლად.

დედამიწაზე სიცოცხლის განადგურება უკვე ერთი საუკუნეა მიმდინარეობს. პროცესის დამთავრების შემდეგ ჩვენ დავერგავთ სიცოცხლის ახალ უნივერსალურად უზრუნველყოფილ ფორმას. ვარსკვლავთში (კოსმოსში) გასასვლელად კაცობრიობამ საჭიროა მიაღწიოს უმაღლეს სულიერ სიჯანმრთელებს. დღესდღეობით თქვენ ხართ ავად. სულიერი სიჯანმრთელების ნაშთები არის პირველი და უკანასკნელი საჩუქარი „ამისაგან“ (უფლისაგან). სამოთხის ბაღი იქნება შედეგი კაცობრიობისა და კოსმიური საუფლოს ერთიანობისა. სამოთხის ბაღი ეს არის კაცობრიობისა და ბუნების პარმონიული შერწყმის მდგომარეობა. ედემის ბაღის აშენებას დასჭირდება დაახლოებით 100 წელი. გასსოვდეთ, რა სთქვა ქრისტემ: „ამაჩემის სახლში არის ცაღკე სახლები“. აღნიშნა რა, რომ არის მრავალი პლანეტა, რომლებიც დღეს იგივე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიც არის დედამიწა, ისინიც საჭიროებენ ჩვენს დახმარებას.

ბაზრტიხილვათი!

მე ვარ საბრძოლო ხომალდი და ჩემს იარაღთაგან ყველა მთავარია (ძირითადი). მე მოვისწრაფი, რათა წინ აღვუდგე კაცობრიობის მტერს სასიკვდილო ბატალიაში, რომელშიც მე და ჩემი კოსმიური ფლოტი გავიმარჯვებთ. გახედე ჩემი კვამლის ფარდას (ეკრანს)!

მე დავადგინე, რომ ყველა არსებული რელიგია და იდეოლოგია კაცობრიობის მტერია. მათთან არის დაკავშირებული ნაციონალიზმიც. საბოლოო ჯამში ყველა რელიგიას მიეკავართ აზრისკენ, რომ უფალი იდიოტია. რელიგიის აზრით, ბავშვის დაბადებაში უფალს უდევს წილი. სინამდვილეში ბავშვი მშობელთა სიყვარულის ნაყოფია. თუ გინდა გაიგო ნამდვილი სიბრძნე, თუ როგორია სამეფო უფლისა, ყური დაუდგე ბავშვს. არასდროს დასაჯო ბავშვი, რელიგია და იდეოლოგია ამხედრებს ბავშვებს უფლის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბაზრტიხილვათი!

როდესაც მე ვლავარავარ, ბრძენი მისმენს

ომი

ომის დაწყების შემდეგ პოლიტიკოსნი და ქვეყნის მმართველნი დასტოვებენ თავიანთ პოსტებს და ჩაუდგებიან სათავეში საომარ მოქმედებებს და ეს იქნება მშვიდობის მიღწევის ერთადერთი გარანტია. ეს არ იქნება სირცხვილი, პასუხისმგებლობის გრძობა და ცოდვა ქმნილებაში დევს. კაცობრიობას აქვს საშინლად უარყოფითი გავლენა სიცოცხლეზე, დედამიწაზე. ადამიანის ბუნება ჩამოგავს უფლისას, რამეთუ მამა არს ყოველ ჩვენგანში და ყოველი ჩვენგანი არს მასში. კაცობრიობას სულიერი ავადმყოფობების გარდა აწუხებს სხვა ავადმყოფობებიც, ესენია: ტკივილი, დარდი, ომი, ცეცხლი და სხვა.

ბაზრტიხილვათი!

შენ დღეს იცინი ჩემზე, ხვალ კი გაიცინებ ისევე? რამეთუ მხოლოდ ჭკუასუსტი იცინის ყველაფერზე ერთნაირად. მე უკვე შევხვედი ასეთ ხალხს. ისინი ასხივებენ სიბუღევილს. ყოველი ჯანმრთელი ორგანიზმისთვის სიბუღევილი დამღუპველია. თუ შენ ვინმეს მიმართ ეს გრძობა ჩაგესახა, შენ არასწორი ხარ. თუ სიბუღევილის ტვირთი დაგაწვა, ლოგიკის ვარსკვლავი აღარ გიერთოვდება. ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად გაიხადე იგი მეგობრად. სულელი უყურებს თავის წარსულს და ამბობს: „შეხედე ყველაფერი რა კარვად გავაკეთე“ ბრძენი კი ამბობს: „მე ვეცადე“.

გმაღლო, მამაო!

პლანეტის ბევრი ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებებს წარმართავს ბატონი. ადრე იგი ემსახურებოდა ხალხს, ეხლა ბევრისთვის იგი ფეტიშად იქცა. ეს პატრონი - ფული გახლავთ. ადამიანმა შექმნა ფული მასთან დაკავშირებულ ყველა კანონში იერებთან ერთად. მასვე შეუძლია შეცვალოს იგი, მაგრამ ამისათვის ბრძოლა არის საჭირო. ფულის გასაუქმებლად საჭირო გახდება მთავრობის ინსტიტუტების გაუქმება. მაშინ

ნამდვილი ძალაუფლება დაუბრუნდება ხალხს და იქნება მუდმივი მშვიდობა დედამიწაზე. ფულის გაუქმებისათვის ბრძოლის პერიოდში გაუქმდება სახლები და მოიშლება ნაციონალური სხვაობანი, ასევე გაქრება ყველა რელიგია და იდეოლოგია, თუ ეს პროცესი არ წარმართა. დედამიწას მოელის დიდი უბედურება. ეს უბედურება გაგრძელდება 3 1/2 წელიწადი, ამ ხნის განმავლობაში გაწყდება კაცობრიობის 1/3. ხოლო ბევრი ინატრებს სიკვდილს, მაგრამ ვერ მიიღებს მას. ეს ყველაფერი დაიწყება 2000-წლისთვის ჩვ. წ-ად-ით.

1. ფული გაუქმებული იქნება ყველა თავისი ფორმით. აღარ იქნება: ბანკები, კრედიტები, ბირჟები. ხალხი იმუშავებს გასამრავლოს გარეშე, სოციალური მიზნებისა და საკუთარი ინტერესებისათვის. აღარ იქნება ბრძოლა თანამდებობისათვის. ხალხი მიიღებს იმას, რაც სჭირდება და აწარმოებს იგივეს. დაიმასსოვრე, დღეს რაც იყიდება, ხვალ ყველაფერი ახალ სიცოცხლეში იქნება თავისუფლად.

2. გაუქმებული იქნება ეროვნება და ნაციონალიზმის საზღვრები. ნებადართული გახდება თავისუფალი მიგრაცია დედამიწაზე.

ნებისმიერ ადამიანს თავისუფლად შეეძლება იცხოვროს პლანეტის ნებისმიერ წერტილში. არ იქნება საპასპორტო და საეიზო რეჟიმები. აღარ იარსებებს კითხვა: საიდან ხარ შენ? დაიმასსოვრე, ჩვენ ყველანი თანასწორი დემოკრატის შვილები ვართ. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჭამოს, ჩაიცვას, ჰქონდეს თავშესაფარი და იყოს თავისუფალი. ავსტრალიელებს დღეს შეუძლიათ თქვან: „ჩვენ არ გვჭირდება იქ ჩინელები“. ეს რასიზმი. მომავალში რასიზმი აღარ იარსებებს.

მე ვარ ადამი, პირველი ადამიანი

3. არ იარსებებს რელიგია და იდეოლოგია.

კანონები, რომლებიც დღეს მოქმედებენ, ანუღირდება, რადგან ისინი გამომდინარეობენ რელიგიიდან ან იდეოლოგიიდან. მათი შინაარსი მცდარია. რელიგია გვასწავლის, რომ არსებობს ინდივიდუალური თავისუფლება. ეს იდეოლოგიის მცნებაა. კაცობრიობის მთლიანობა გათვლილია ინდივიდუალურობის ნიშნით. უფალი გათვლავს გასათელს. კაცობრიობის ყველა უბედურება გამოწვეულია მისი ცხოვრების უარყოფითი წესით...

იდეოლოგია და რელიგია არის მცდარი სტანდარტებისა და პრაქტიკის მიზეზი. მათ შეცვალეს ადამიანის ბუნება. როდესაც განიდევნება რელიგია და იდეოლოგია, კაცობრიობა

მორიბი ტარატი

აფხაზეთში

საბაზნტოს კორესპონდენტი სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ქსოხუშში, გაურკვეველ ვითარებაში, „მერსედის“ მარკის ავტომანქანაში აფეთქდა სოხუმის ხელისუფლების ახლადარჩეული პარლამენტის წევრი, გაერთიანება „აფხაზეთის“ გენერალური დირექტორი ანატოლი კაკუბაია. არძინბას ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აღნიშნულ ფაქტს საქართველოს სეცსამსახურებს უკავშირებს. თუმცა, გარდა ვარაუდისა, დღეისათვის აღნიშნულის დამადასტურებელი რეალური ფაქტები არ არსებობს. (იფრინდა)

როდინოვის მიმართ

სახალხო ფრაქცია (ეროვნულ-დემოკრატიულ-ს პრეს-ცენტრის ცნობით, ფრაქციამ ღია წერილით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს ზუგანას, საქართველოში რუსეთის თავდაცვის მინისტრის იროლინიოვის ვიზიტთან დაკავშირებით. წერილის ავტორების აზრით, გარდა იმისა, რომ საკმაოდ დასახვეწია ვიზიტის პროტოკოლური მხარე, საფიქრებელია ამ ვიზიტის მიზანშეწონილობაც. ავტორებს მხედველობაში აქვთ 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი მოვლენები. მხედველობაშია რა მიღებული, რომ თავად პარლამენტის თავ-რე წარმომადგენელს იმ საპარლამენტო უმრავლესობას, რომელსაც კიდევ 25 წლის განმავლობაში მიწანშეწონილად მიანხია რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში არსებობა, ფრაქცია აყენებს წინადადებას, შეიქმნას 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისია, რაც ფრაქციის აზრით, საშუალებას მოგვცემს გაიკვლით, თუ რა საფრთხეს ქმნის საქართველოში რუსეთის ბაზების არსებობა.

ფრაქციიდან მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული წერილი განსახილველად მიმდინარე წლის 3 თებერვლის პარლამენტის ბიუროს სხდომის დღის წესრიგშია შეტანილი. (იფრინდა)

მხილებული იქნებია სანქციონირებული ყანალები

ბუშინ შედგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და საკონტროლო სარევიზო კომისიის გაერთიანებული საგანგებო პლენუმი. პარტიის წევრებმა მოწონეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილი მთავრობის გაფართოებული სხდომის შედეგები. პლენუმის მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ უმოკლეს ვადაში მხილებულნი იქნებიან დაუსჯელობით განებივრებული სახელმწიფო ყანალები. (იფრინდა)

საკომიტეტო მოსმენა

24 იანვარს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში გაიმართა საკომიტეტო მოსმენა „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე. კომიტეტის წევრობა აზრით, კანონპროექტი შეესაბამება ტურიზმის საერთაშორისო პრაქტიკას და ითვალისწინებს დარგის განვითარების მოწინავე გამოცდილებას გამოითქვა მოსახრება, საქართველოში ტურიზმისა და კურორტების მართვის უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრისა და ფუნქციონირების შესახებ. კანონპროექტი პარლამენტს მორე მოსმენისათვის უახლოეს მომავალში წარედგინება. (იფრინდა)

XI კლასკლემბისა და აბიტურიენტებისათვის

სკოლაში უახლესი ქართული ძეგლები

დალატი და პრიტუპია

შეპირებისამებრ, ამჯერად უნდა ვი-
საუბროთ ორ განსხვავებულ... ზნესა და ხასი-
ათზე, რომელსაც საფუძვლად უდევს არა
ეროვნული სხვადასხვაობა, არამედ ტრადიცი-
ისადმი, საკუთარი ისტორიული ფესვებისად-
მი მიმართება.

ზემოთ იხილეთ ვთქვი, რომ ამ მხრივ საინ-
ტერესო იქნება-მეთქი უკვე ემხას ფსიქიკის
წარმოჩენა მისივე თანამემამულეების სამსონ
დავანაძის და ნარიშვილის დახასიათების ფონზე.

როდესაც მეზღვაურებმა შეიტყვეს, რომ
მათი მეგობარი ვასილ ხრიტიანი მოჰქალა
და მასთან ერთად ერთი მეზღვაური დაჭრა
ვიდაც თეთრგვარდიელმა ყაზახთა ოფიცერ-
მა, სოხუმელთა წინააღმდეგ საბრძოლველად
შემზადდნენ.

თავის მხრივ, შემინდნენ და შემოთღ-
ნენ სოხუმის მოქალაქენი... ქალაქის თავმა
სამსონ დავანაძემ და მუშათა, ჯარისკაცთა
და გლეხთა საბჭოს თავმჯდომარემ ნარიშვი
ემხამ უკრავდნენ მიაქციეს გადაჩინილი მეზ-
ღვაურის ნაამბობიდან სიტყვებს: „ყაზახთა ოფიც-
ერი“, „გეორგის კავალერი“ და უშალ მიხედ-
ნენ, ვინც იყო ხრიტიანი ფესვების მკვლელი.

„უკვე ემხას დავუღუპიართ“, - გაუღუგა
თავში ერთსაც და მეორესაც ერთდროულ-
ლად.

„თითქმის საიდანაც ახალი ძალა და
ღონე შეემართა, ისე დატრიალდა ახლა სამ-
სონ დავანაძემ... მილიციის უფროსი მოიხმო
მისი თანამემამულეები და ყველას გასაგონად
სასტრეიო ბრძანება მისცა: ქალაქი ყველა მხრიდან
შეეკრათ. არც ტყვია დავუზავათ, არც ცეცხ-
ლი და არც მახვილი, ოღონდ ოფიცერი ემხა
აღმოჩინდა და მისთვის ცოცხალი მოეგვარა-
თ. მერე თავისი მკვლელობის ხმის კიდევ უფრო
ამაღლებით ხალხს მიუბრუნდა და რუსულ-
ლად მიმართა, რათა მისი ყაველი სიტყვა
მეზღვაურებსაც კარგად გაეგონათ:

„მოქალაქენო, ჩვენს ქალაქში ქურდულ-
ლად შემოხიზნულ უკვე ემხას ჩვენი დამ-
ღუპველი. იგი თავს დასხმია ჩვენს სტუმრებს

ქუჩაში და საშინელი მკვლელობა ჩაუდგინა.
ემხა ჩვენი მკვლელიც არის, ამხანაგებო! შინ
გვყოლია მტერი, მოალაატე და დროზე ვერ
მივხვდარვართ, ჩვენი ხსნა საშინელი წყრომის-
აგან, რომელიც უთუოდ დავიმსახურეთ, მხ-
ოლოდ ერთ რამეს შეუძლებს: საკუთარი ხე-
ლით შევიპყრათ დანაშაუდ და მიგვგაროთ
მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯე-
ლის მისაზღაურად... თითოეულ თქვენთაგანმა
ხელი უნდა გამოიღოს. აბა, ვინც ვარგა, ახლა
გამოჩნდება.“

კრეისერის შიშით დაზავდულმა მოსახ-
ლეობამ „იგარა“ და „მოალაატე“ მალე მი-
ჰგვარეს „შიდრის“ კაბიტანს.

როგორც ვხედავთ, ხალხს უკვე ემხა
მოლაატედ გამოუხადეს. სამსონ დავანაძე
და ნარიშვი ემხა კი, ერთი შეხედვით, ხალხის
ერთგული და მისი ინტერესების დამცველნი
ჩანან.

არადა, ცველადი პირიქით არის.
უკვე ემხა თავისი ხალხის ერთგულია,
რადგან ამ ხალხის საყურადღებო გამოტარე-
ბულ ღირსებას იცავს.

დავანაძე და ნარიშვი ემხა კი თავად არი-
ან მოლაატენი, რადგან საკუთარი ტყვის
დაცვის მიზნით თავისი თუ ხალხის ღირსებას
ფეხზე უთლავდნენ.

ასე რომ, ახალ დროში, ახალ მეთაურ-
თა წყალობით აღრეულია ცნებები - და-
ლატი და ერთგულება, გმირობა და ლამა-
რობა.

პირველ ყოვლისა, ვნახთ, როგორ იქცე-
ვა ექსტრემალურ სიტუაციებში ხალხის „მოლ-
აატე“ უკვე ემხა.

როცა ვასილ ხრიტიანი ემხა ქუჩაში
თეთრგვარდიელი ოფიცერი დააღწია, გიჟ-
ით თვალეტი დააბრიალა, რევოლვერის ტარს
ხელი მკვრად ჩასჭიდა და დაედგინა, მას ამხ-
ანაგებიც მიჰყვნენ.

- ჰეი, შესდევ, უფალო ოფიცერიო! -
შორიდანვე დაუყვირა ემხას ხრიტიანი.

- მინდა გამოგვეჩვენო, უფალო ოფიც-
ერიო! კრეისერ „შიდრის“ მეზღვაური გახლა-
ვარ, ვსაკა-პირატი. აბა, მითხარი, შენ ვინა
ხარ? - მიახლოებისთანავე მიმართა გამო-
წვევი შეყვირებით მეზღვაურმა უკვე ემხას.

ემხას მშობლიურ ქალაქში გულდიად
მოსეირნე. ეს უცხო კაცი სიძულვილის სი-

დასასრული. დასაფ. „საქართველო“ №5, 6

ლაო ჟიარალი

„ჰაკი აბბა“

(ბანხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

ტყვიერ გამოხატულებას არ დასჯერდა. უკვე მის
გარეგანმა სიმშვიდემ ცეცხლი წაუქცია. მოთ-
მინება არ ეყო ოფიცრის ეპოლეტივებსა და
ოქროს ორდენისათვის კიდევ ეცქირნა.

- პასუხი ჩქარა, ვინ ხარ-მეთქი! - შეჰყვი-
რა ერთხელ კიდევ და მარტენა ხელი ემხას
მარჯვენა მხარს მხალივით შემოუქნია. კლანჭ-
ბად მომარჯველები თითები ეპოლეტივში ჩასო
და მოსაგლეჯად მოსწია.

რუსეთის სამოქალაქო ომიდან მშობელ
კერაზე მობრუნებულ უკვე ემხას „სიცოცხლის
გარდა ორი რამ განიჩ ჩამოჰყოლია, რომ-
ლებსაც სიცოცხლეზე უფრო აფასებდა და
უფროთხილდებოდა. ეს იყო სიჭრიჭნე და
ნაოცნებარი ოფიცრის ეპოლეტივი და ოფიც-
რისავე წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“.

მისი ადამიანური თვითფარება უყიღურ-
სად შეუტაცებდა. თავად თავს არიდებდა
ბოლო შევიც მეზღვაურებს, ისინი კი მისავე სამ-
შობლოში, მის მშობლიურ ქალაქში შემოჭ-
რილან და მეძებარი ძალღივით დასდევდნენ.
ოფიცერმა ღირსების შეურაცხყოფა არ აბატია
მომხდურს და იმავე წამს მისი რევოლვერი
გავარდა. განგმირული ვასილ ხრიტიანი მი-
წაზე პირადმა გაიშლართა უსულოდ.

ხრიტიანიუსი მეორე მეგობრსაც მაშინ ეს-
როლა, როცა მეზღვაურმა რევოლვერი იძრო...

ამ ეპიზოდის მიხედვით ემხა მკვლელი არ
არის. უბრალოდ, მომხდურისაგან იცავს თავს.
როცა თავის ძიძიშვილს ნახავს, შექუჩებული
შესჩივლებს:

- იციღე, თავს დამესხნენ, ჰაკი...

უკვე მისი ოჯახში გადამალავს ჰაკი.

- ეს კი, თავი შეეფარე შენს ჰერს, მაგრამ
შენ არც იცილი და ვითომ არც ახლა იცი,
ნუ გაუწყობი ჰაკის.

მიმართავს იგი მოსალოდნელი საშიშროე-
ბით შექუჩებულ მასპინძელს და თაღარებს იქ-
ერს, რათა ამ ოჯახს დროულად მოსცილდეს
და მოსალოდნელი თავდასხმისაგან დააზღვიოს.
საფრთხეში ჩავარდნილი უკვე მის სხვის უსაფრთხ-
ოებაზე ფიქრობს. ეს ფაქტიც მის კეთილშო-
ბილებას ადასტურებს.

როდესაც ემხას დედაშვილი, თოუხან მარ-
შანი გამოეცხადა და აუწყა, უნდა ჩაბარდე
მტერს, რადგან შენს გამო მძევლები აიფანესო,
უკვე ემხა განაცხადა:

- მესმის, ძებო, ცველადი. დაფიქრებაც
კი პატრეს ამჯერად თქვენს თვალში. საჭირო
არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ გამოეცხ-
ადდე.

ეს გადაწყვეტილება მის რაინდულ ბუნებას
უსვამს ხაზს.

როცა ჰაკი აბბა დაინახა, რომ საშველი
არსებით იყო, მილიციის უფროსს განუცხადა:
„უკვე ემხას მე ვახლდი იმ დროს, როცა მას
მეზღვაურები თავს დაესხნენ. იმისათვის ვატარებ
იარაღს და დედაჩემის გავრდილს იმისათვის
ვახლავარ დღედაღამ, რომ ის ყაველი ხიფა-
თისაგან დავიცვა. თავდასხმელებს მე ვესროლე
რევოლვერი და ჩემმა ტყიამ ორი მათგანი
იმსხვერპლა. უკვე ემხას კი იარაღისათვის ხე-
ლიც არ უხლია“.

ჰაკის სიტყვების გაგონებაზე ემხამ ადგილ-
იდან მორღვევა დააპირა, მაგრამ ხუთიოდე
თავდასის ხელისგული პირზე აეფარა და სუნთქვა
შეუქრა.

- უკვე მხა არ ამოიღო. ძიძიშვილი რომ
არის, თავიც უნდა გასწიროს შენთვის. კარგად
იქცევა, იციღე, სიტყვა არ დასძრა - ეუბნე-
ბოდნენ უკვე მისი ახლობლები.

ემხამ ტოლი არ დაულო ძიძიშვილს. თა-
ვადებს ხელის და დაუსტრტა და განაცხადა:

- აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლე-
ლი და გნებდებით.

იგივე სცენა განმეორდა გემზე, კუშმა მრისხ-
ანეს თვალწინ, მაგრამ ემხამ ძიძიშვილის თავ-

განწირვის ხარჯზე, არ ისურვა სიცოცხლის შე-
ნარჩუნება.

არც ეს არის მოლაატის საქციელი...

და ბოლოს, უკვე ემხას პორტრეტი მთე-
ლი დიდებულიებით გაიფლებს მისი სიცოცხ-
ლის უკანასკნელ წუთებში. დასაბერტად გამოე-
ვანილი ემხა „თავაწიელი მოაბიჯებდა, ღინჯად
და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა. განიერი
ბეჭები ოდნავ რხევით მოჰქონდა. გემის ბანს
იქით იცქირებოდა მაღლა გამართული
თვალებით. გახვებულ და უმეტველო სახეს
მხოლოდ ერთი ხანს მკრთომარება უცხოველბე-
და, რომელიც უძრავად თვალეში შეფინებო-
და. ეს იყო ნადვლიანი ღმილის ძლიერ შესამ-
ნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ
ღარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით და-
ძლიურს. პირდაპირ ცის კიდურზე გართხულ
მოწითალო სინათლის კრთომას შეჰყურებდა,
სადაც ნათელი დღის კარი უნდა გაღებულიყო“.

ღიან, უკვე ემხასთვის, თანამოქალაქეთი
მიერ მოლაატედ შერაცხული ახალგაზრდა
ოფიცრისათვის, ნათელი დღის კარი უნდა
შეიღოს და არა კუპრივით შავი ჯოჯოხეთისა,
რადგან ემხამ ტყვის წინ მდგარიმაც არ დაკარ-
გა უმთავრესი - ადამიანური ღირსება. არადა,
ემხა კუშმა მრისხანესთვის მტერია, სამსონ და-
ვანაძისა და ნარიშვილის მოლაატე, უფრო
მეტეც, ერთი თანამედროვე ქართველი კრი-
ტიკოსი მას „გაოტრებულ და გადაგვარებულ“
თავდად მიიჩნევს და ამ პოლიტიკურ მხოლოდ
ის ერთი ლიტერატორი როდი დგას.

როგორც ჩანს, ღირსების შემწევას უღ-
ირსებო ადამიანები ვერ ახერხებენ... ისინი, ვინც
უკვე ემხა მოლაატედ მონათლა, სწორედ
უღირსებო ადამიანები იყვნენ, ხალხის ერთგულ
მსახურებად კი ასაღებდნენ თავს.

ასეთები არიან, პირველ ყოვლისა, სამსონ
დავანაძე და ნარიშვი ემხა. ახლა ხალხისადმი
მათი „ერთგულები“ დამადასტურებელ მა-
გალითებს მოვუხმოთ.

კრეისერ „შიდრის“ გამოჩენით საგონებელ-
ში ჩავარდნილი ქალაქის თავი სამსონ დავანაძე,
ნაცვლად იმისა, რომ ქალაქის უსაფრთხოებაზე
ფიქროს, პირველ რიგში, შექმნილ სიტუაცი-
ში, პირადი პასუხისმგებლობის მოხსნას ფიქრობს.

„პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა
ყოველგვარი პასუხისმგებლობის თავიდან ასა-
ცილებლად, ეს იყო თბილისში საიდუმლო დეპე-
შის გადაზავა: ასეა საქმე და როგორ მოვიქცე-
თო. მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალობის დაცვა
მისი მხრით. კარგად იცოდა, რომ არაფერი უპ-
ასუხებდა, და თუ მიიღებდა მინც რაიმე პა-
სუხს, იგი სახელმძღვანელოდ უთუოდ არ გა-
მოადგებოდა“.

ამ მცირე ამონარიდით კარგად ჩანს, რომ
უპატრონოა ქვეყნა. ხელისუფლება ნამდვილ
გულშემატკვრლობას ვერ იჩენს.

სოხუმში მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა
დეპუტატების საბჭოც არსებობდა, რომელსაც
ნარიშვი ემხა თავმჯდომარეობდა, მაგრამ ამ ორ-
განიზაციის მოვალეობას ისლა შეადგენდა, რომ
„დროგამოშვებით, როცა მდგომარეობა
გართულდებოდა, მომენტის შესაფერის რე-
ზოლუციას მიაღებინებდნენ და გაზეთებში გა-
მოაცხადებდნენ“.

უსაქმური და მხოლოდ მოლაატარავე, რე-
ზოლუციებს გადაყოლილი ხელისუფლება, ცხ-
ადია, საშველრო გემის გამოჩენაზე დაფრთხე-
ბოდა. ასე დაემართა ქალაქის თავსაც და ნარ-
იშვი ემხასაც.

დავანაძემ გადაწყვიტა მოქმედების გეგმა ემ-
ხასთან შეთანხმებინა და ამით პასუხისმგებლობაც
მისთვის დაეკისრებინა.

ემხამ გულდასმით მოისმინა სამსონ და-
ვანაძის წინადადება, რა თქმა უნდა, მაშინვე
მიხვდა ქალაქის თავის განზრახვას. ცოტა ხანს
დაფიქრდა და შემდეგ ასეთი მეგობრული პა-

სუბი გასცა:

„პასუხისმგებლობას ან შენ რატომ
იყისრებ, ძვირფასო სამსონ, ან რატომ გინ-
და, რომ მე მაყისრებინო მინცდამინც. ხომ
იცი, რა მდგომარეობაა. თუ პასუხისმგებლო-
ბაზე მივიდა საქმე, სჭობია, მისი ტვირთი
ისე განაწილდეს, ყველ შემოხვევისათვის, რომ
ბრალი ყველას და ამავე დროს არავის არ
დაეღოს. ჩემის აზრით, ასე უნდა მოვიქცეთ:
მოვიწვიოთ ქალაქის საბჭოს და მუშათა,
გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუ-
ტატების საბჭოს პრეზიდიუმების სასწრაფო
გაერთიანებული სხდომა პარტიებისა და სა-
ზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომად-
გენლების თანდასწრებით და იქ დაავსათ ეს
საკითხი, შეიძლება გაველენიანი მოქალაქე-
ბიც მოვიწვიოთ, როგორც დანტრეგებულ-
ლი ხალხი. დეე, ამით გადაწყვიტონ, თუ რა
სახით უნდა დახედეს ქალაქი სოხუმი ბოლშე-
ვიკების სამხედრო გემს“.

დავანაძე აღაფრთოვანა ამ აზრმა. სხ-
დომა მართლაც შედგა, რომლის მიერ მღლე-
ბული დეკლარაცია „მიაღწევა დავანაძისა და
გრძელი პერიოდებისაგან შედგებოდა. დეე-
ლარაციის სტრუქტურა ლაბირინთებში გარკვეუ-
ლი აზრის დასახვა შეუძლებელი იყო, მაგრამ
დასკვნა წინდახედულად იყო მოზომილი“.

ამ ეპიზოდით არა მხოლოდ სოხუმის
ხელისუფალთა უფერგილობა და უფენობა
ჩანს, არამედ ცოცხლად იხატება სოციალ-
დემოკრატებისათვის ჩვეული მართვის
მექანიზმი. მათ ხალხი და აზრთა დემოკრა-
ტიული გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ მაშინ
ახსენდებოდა, როცა ამა თუ იმ საკითხს გადა-
საწყვეტად პირადი პასუხისმგებლობის აც-
ილებდა სურთ. დემოკრატისაც საკუთარი
უსუსურობის შესანიღბავად იყენებენ.

ერთი სიტყვით, სხდომის გადაწყ-
ვეტილებით უცხო სახელმწიფოს სანა-
პიროსთან მომდგარ რუსეთის სამხედრო გემს
მოსახლეობა ტამ-ფანდურით შეხვდა... ხე-
ლმძღვანელობა კი პირფერობითა და
მლიქვნელობით. ამიტომ ადარც გასაკვირი
იყო ვასილ ხრიტიანიუსის თავდასულობა, ბა-
ტონ-პატრონივით რომ დაიჭიმებოდა სხვის
მიწაზე.

გონებაში თუ ერთი წუთით პარალელს
გავავლებთ ხალხის წინამძღოლ ხევსბერ
გოჩასა და ასევე ხალხის წინამძღოლ სამსონ
დავანაძესა თუ ნარიშვი ემხას შორის, სრულიად
ანტიპოდური სახეები წარმოგვიდგება.

როგორც დავანაძე, ისე ემხა მზად არი-
ან შეასრულონ ცველადი, რასაც კრეის-
ერის კაბიტანი უბრძანებთ. ისინი სასიკვდილოდ
გასწირავენ ემხას.

უკვე მხა საკუთარი ღირსება ვეკაცურად
დაიცვა და მტერს მტრულად დაუხვდა.

დავანაძე და ემხა კი მლიქვნელური ღი-
მილით ფინანსად ეგებებიან მომხდურს. ჰაკი
აბბა, უკვე ემხა, დავანაძე და ემხა ერთი
ისტორიის, ერთი ფსიქიკისა და ზნეობრივი
კოდექსის მქონე ხალხის შეილები არიან, მა-
გრამ ისინი უკვე აღარაფრით ჰგვანან ერ-
თურთს, რადგან ჰაკი და ემხა წინაპართა
დაუწერელ კანონებზე აღიზარდნენ.

დავანაძე და ემხა კი, როგორც ძველი
რევოლუციონერები, ანუ სოციალ-
დემოკრატები, ამ დაუწერელი კანონების
უარყოფელნი არიან. ემხა საკუთარ „ქო-
ლეტსაც“ კი არ დაუთმობს მტერს და მზად
არის სიცოცხლე გაიღოს პირადი ღირსების
დასაცავად.

დავანაძე და ემხა მზად არიან მთელი
სოხუმი აჩუქონ კუშმა რუსს, საკუთარი ტყვის
გადასარჩენად.

იმ დროში, რომელიც მწერალმა აღწ-
ერა, საქართველოს დავანაძისა და ემხას ტიპის
ხელმძღვანელები მართავდნენ.

იმ ეპოქაში კი, რომელშიც „ჰაკი აბბა“
იწერებოდა, - კუშმა მრისხანეს ტიპის გან-
მგებლები.

ემხასა და ჰაკისთვის, ანუ ღირსებისა და
ეროვნული ტრადიციებისთვის კი ადგილი არ
ჩანდა.

ამ მწარე საფიქრალს აღძრავს მოთხრობა
„ჰაკი აბბა“.

თუმცა, ერთმა გარემოებამ იმედიც შეი-
ძლება დავიკოვოს. ჰაკი ზღვაში იხრობს
თავს. წყალში დამხრავლი კი, ქართული მი-
თოლოგიური წარმოდგენით, კვლავ უნდა
აღსდგეს, ანუ კვლავ უნდა აღსდგეს ის ღირსე-
ბები, რითაც თხზულების ორი მთავარი გმი-
რი ხასიათდება.

მილიონი საგუაო აღვილი ოსნებების სასაფლაოს კუთვნილება

მეოთხე გვერდიდან

იკარგებოდა. ამ ტენდენციამ კი შედეგად ის მოგვიტანა, რომ დღესდღეობით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ასიათასობით ადამიანი გასული დროებითი თუ მუდმივი სამუშაოს ძებნის მიზნით „ბორი“ ხმები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ემიგრანტ ქართველთა რიცხვმა 1996 წლის აგვისტოს მონაცემებით მილიონს კარგა გვარიანად გადააჭარბა.

გასაგებია, როდესაც ქვეყნის მეთაური გულსტიკივით ლაპარაკობს ამ პრობლემებზე და აღნიშნავს, ქართველი საქართველოში უნდა ცხოვრობდეს. გასაგებია, რა მიზეზების გამოც მოხდა სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტზე,

აგრეთვე ქვეყნიდან გასასვლელ ვიზებზე ფასების მომატება. ასეთი ხელოვნური ბარიერების შექმნით მიგრაციის პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. ამის დასტურად მრავალი ფაქტის წარდგენა შეიძლება ისტორიიდან. ხალხს სამუშაო სჭირდება, სამუშაო, რომელიც მათი ოჯახების კეთილდღეობის საწინდარი იქნება, რამეთუ ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე აუცილებლად საჭირო მოხმარების საგნებზე საარსებო მინიმუმმა ას დოლარს მიღწია, სახელმწიფოსგან შემოთავაზებულ 8-9 ლარად თვეში მხოლოდ ნამდვილი მორწმუნე ქრისტიანი თუ შეინარჩუნებს სიცოცხლეს, ისიც ერთი-ორი თვე და აუცილებლად მხოლოდ დიდმარხვის პერიოდში.

დღეს, როდესაც მსოფლიოს სამომხმარებლო ბაზარი ასობით ფირმის წარმოების იდენტური მალაზარიისხოვანი პროდუქტით არის სავსე, მათი მწარმოებლები გამოსავალს განვითარებადი ქვეყნების იაფი მუშახელის გამოყენების ხარჯზე საქონლის თვითღირებულების შემცირებაში ხედავენ. და შენდება ფილიპინებში, სამხრეთ კორეაში, ჰონ-კონგებში მსოფლიოს წამყვანი ფირმების ფილიალები, რასაც, ბუნებრივია, ადგილობრივი უმუშევარი ათასების დასაქმება მოსდევს. თუ ჩვენ დღევანდელ რეალობაში იმის ძალა არ შეგვცევს, რომ საკუთარი საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებით დავასაქმოთ ქვეყნის უმუშევარი

მოსახლეობის ნაწილი მაინც, იქნებ ამ გზის გადახედვა იყოს მისაღები რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობისათვის. მთავარად ერთი ნაცნობის მიერ მოყოლილი ანგელოტური ისტორია თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციის მიმდინარეობის შესახებ. ორგანიზაციამ (საერთაშორისო), რომელიც სამშენებლო პროცესების ფინანსირებას აწარმოებდა, კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთი თურქულ ფირმასთან, რომლის მიხედვითაც მშენებლობაზე დასაქმებული ყოველი თურქი მუშა თვეში 700-800\$ ხელფასს მიიღებდა. თურქებმა კი უკეთესი გამოსავალი მოძებნეს, ადგილზე იქირავეს შიმშილისაგან ხერხემალზე კუჭმიკრული მუშები და 150\$-ის სათაურად თვეში ორ-ორი ნორმის შესრულებით ამუშავეს. მანამდე კი, სანამ ჩვენი სახელმწიფოს მამები გადაჭრიან შენობათაშენებელ პრობლემებს, მუშა კაცს ისღა დარჩენია, უარესის (შესაძლებელი თუ არის) მოლოდინით გულდამძიმებულმა ნაღვლიანად ილიდინოს ფრად ნაცნობი ქართული სიმღერა, რომელიც ასერიგად შეეფერება დღევანდელ მის მდგომარეობას: „ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდები, დელიავ რაა-ნუ-ნი“.

პ. ოზბა კიკნაძე



«კორუფციას დაუნდობელი ბრძოლა უნდა გაამოვსცხადოთ»

მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე კორუფციასთან ბრძოლის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ბარამიძემ განაცხადა, რომ კორუფციამ ქვეყანაში შემავალი ფონდების მასშტაბებს მიაღწია, სახელმწიფოს ყველა რგოლი და ხელისუფლების მაღალი ეშელონები მოიცვა. მისივე თქმით, კორუფცია უკვე სახელმწიფოებრიობასაც ემუქრება, აუცილებელია მას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოთ. გ. ბარამიძემ აქვე დასძინა, რომ კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის 20 საქმეა აღძრული. დაკავებულია 30 კაცი, ამასთან, მთავარი დამანაშავენი ჯერ კიდევ დაუსჯელები არიან. (იფრინდა)

«ქვეყანა კარგავს საუკეთესო ინტელექტუალურ და პროფესიონალურ პოტენციალს»

მთავრობის სხდომაზე მწერალმა გ. ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ მიიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ბევრ ჩვენი თანამემამულეს უბიძგა, დაეტოვებინა სამშობლო და თავშესაფარი სხვაგან ეძებნა. „ამის გამო, ქვეყანა კარგავს საუკეთესო ინტელექტუალურ და პროფესიონალურ პოტენციალს“ - განაცხადა მან. დღეისათვის საბერძნეთში იმყოფება 40 ათასი ჩვენი თანამემამულე, 130 ათასი კი პოლანდიაშია. (იფრინდა)

უზბეკეთის მანქანათმშენებლები ფოთში

ფოთის სახლგაო ნავსადგურში იმყოფებოდა უზბეკეთის მანქანათმშენებლობის ასოციაციის პრეზიდენტი შოაბრორ შომახსუროვი, რომელიც დაინტერესებულია ფოთის პორტის გადართობით, უზბეკურ-სამხრეთკორეული კონტრაქტორი „DAEWOO“-ს მიერ გამოშვებული ავტომობილების საქართველო-სათვის ხელსაყრელი პირობებით გატანაში. აღსანიშნავია, რომ ამ დარგის ავტომობილებს საქართველოს 25 წლიანი დიზინგით მიაწვდიან. პირველი შესატანი თანხა შეადგენს ავტომობილების ღირებულების 25%-ს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია 500 ავტომობილის ექსპორტირება. (იფრინდა)

გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ!

გაზეთ „საქართველოს“ 1996 წლის 23-26 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ბაზრის გაბარებული ამბავი და უცნობობით გაბეზრებული ადამიანები“.

გამოგზავნა რა ჩემს პატივსაცემს თქვენდამი, ასევე თქვენი საინტერესო გაზეთისადმი, ჩვენ გვჯერა გვეგვარება სტატიის ავტორის პროფესიონალიზმში, მაგრამ უფრო გამართლებული იქნებოდა მის ავტორად გამოგვეცხადებინათ ერთ-ერთი მომხივანი, რომლის სასარჩელო განცხადებებს წინააღმდეგობას ვაჩვენებთ. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია გამოვთქვათ ჩვენი აზრები გაზეთში. სტატია შინაგონად, მისი ავტორი საქმის რეალურ მასალებს რომ გასცნობოდა. სიმართლე კი ასეთია:

სახელმწიფო ქონების მართვის გარის განყოფილების 1994 წლის 5 სექტემბრის №183 წერილის საფუძველზე გარის საკოლმურნეო ბაზრის სხვა ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის შინაგონი კაბინეტის 1994 წლის 12 დეკემბრის №854 დადგენილებით შეტანილი იქნა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, რის შესახებაც ქონების მართვის განყოფილების 1995 წლის 20 თებერვლის №113 წერილით საქმის კურსში ჩაყენებული იქნა ბაზრის ხელმძღვანელობა (დირექტორი ი. აღდგომილაშვილი). ამგვარად მისი მითითებული იყო სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებით გათვალისწინებული შედეგით. როგორც ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, არც მანამდე და არც მითითებული შეტყობინების შემდეგ ბაზრის კოლექტივს რაიმე ოფიციალური წერილით არ მიუზარია არც გაზეთისათვის და არც განყოფილებისათვის.

1995 წლის 26 დეკემბრის სახელმწიფო ქონების მართვის გარის განყოფილების №127 ბრძანებით, არსებული წესის შესაბამისად, შეიქმნა საკოლმურნეო ბაზრის საპრივატიზაციო კომისია 5 კაცის შემადგენლობით. კომისიაში სხვებთან ერთად შეიყვანეს საკოლმურნეო ბაზრის მმართველი დირექტორი ქ. მურჯიანი. 1996 წლის 22 თებერვალს (ოქმი №23) საპრივატიზაციო კომისიამ დაადგინა ობიექტის გასაყიდ და, პრივატიზების ფორმად განისაზღვრა კომერციული კონკურსი, რაც სათანადო დასკვნისა და 1996 წლის 27 თებერვლის №19 ბრძანებით დაამტკიცა ქონების მართვის განყოფილებამ.

განყოფილების 1996 წლის 12 მარტის №39 წერილით ობიექტის პრივატიზების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ეთხოვა ადგილობრივ გაზეთ „გორს“, რომელმაც აღნიშნულზე განცხადება მისცა გაზეთის 1996 წლის 23 მარტის (№5) ნომერში. 1996 წლის 25 აპრილს შესდგა საკონკურსო კომისიის სხდომა (ოქმი №1 და №2), რომლის გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ერთადერთი მონაწილე ფიზიკური პირი ქ. წიკლაძე.

აღსანიშნავია, რომ საკონკურსო კომისიის ეს წერილი ბაზრის დირექტორი ქ. მურჯიანი, რომელმაც განაცხადა, რომ პრივატიზების შესახებ საკითხი გააცნო თანამშრომლებს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მისი პრივატიზება და ამდენად პრეტენზია არ გააჩნია (ტექსტი დაცულია, ოქმი №1).

ვერ დავეთანხმებით სტატიის ავტორს იმას, თითქოს მიღებული იყო რაიმე გადაწყვეტილება ბაზრის საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებაზე და არც გამოვალის ხელმძღვანელობის მხრივ ასეთი დაპირება, რადგან ეს საკითხი არავის დაუყენებია, მათ შორის ბაზრის კოლექტივსაც.

მართალია ის, რომ ბაზრის პრივატიზების მიზნით აუქციონში მონაწილეობის თაობაზე ქონების მართვის განყოფილების 1995 წლის 24 აპრილს განცხადებით მიმართა მისმა ყოფილმა დირექტორმა ი. აღდგომილაშვილმა, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქონების მართვის განყოფილების 1996 წლის 25 აპრილის №72 წერილით უარი ეთქვა: დარღვეული იყო განცხადების მიღების ვადები, არ იყო შეტანილი „გამყიდველის“ ანგარიშზე „ბე“-ს და „მისაგებ“-ს დამადასტურებელი ქვითრები და საკონკურსო პირობების შესრულების თაობაზე განცხადებლის წინადადებები.

რაც შეეხება სტატიაში მოყვანილ სხვა მტკიცებებს, აღნიშნულზე საკოლმურნეო ბაზრის მომხივანი რაც თანამშრომლებს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ განმარტათ, რომ მათ განცხადებაში მითითებული ფაქტები არ წარმოადგენს საფუძველს ბაზრის პრივატიზებისადმი დაკავშირებით აუქციონის შედეგების გაუქმებისათვის (სახ. ქონების მართვის სამინისტროს წერილი №01-09/2355 27.05.96, სამინისტროს კომისიის დასკვნა №02/2052 25.09.1996 წ.). სასარჩელო განცხადებაზე იმჟღავნა გარის სასამართლოში (12.11.96) და უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე.

განმარტების საქმეობის საკოლმურნეო ბაზრის ხელმძღვანელობის შეცვლის მიზეზიც, გორ-

ის გამოცხადების 1995 წლის 20 ივნისის №92 გადაწყვეტილებით ბაზრის დირექტორი ი. აღდგომილაშვილი განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში საშემსრულებლო, სავაჭრო და სანიტარული დისციპლინის მოშლის, ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნათა უზუსტობის გამო-სათვის.


მის ადგილზე გერაშვილის დანიშვნა (27.06.95) განაპირობა შრომითი კოლექტივის მოთხოვნამ, სადაც იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა ათ წელზე მეტი. ოთხი თვის შემდეგ (10.11.95) იგივე გამოცხადების მიერ გერაშვილი განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნა ქ. მურჯიანი, რომელიც ექვსი თვის შემდეგ განთავისუფლდა ბაზრის პრივატიზების გამო. ასევე ბაზრის ხელმძღვანელის მიერ დანიშნული გ. შოშიაშვილი სამი თვის შემდეგ (4.10.95) განთავისუფლებული იქნა თანამდებობიდან შტატის შემცირების გამო.

საკოლმურნეო ბაზრის ხელმძღვანელობის ასეთი ინტენსიური მონაცვლობა გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს სათანადო ღონისძიებების მიღება ხანძრისაგან დანგრეული დაზარალებული ბაზრის შენობის აღდგენის ობიექტზე ჩეროვანი წესრიგის დამყარებისათვის, რამაც ბაზრის მიმდებარე ტერიტორია და ქუჩა მოუწყვრისებულ ვაჭრობის და ანტისანიტარიის კერად აქცია. შექმნილი ვითარება მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა, რაზედაც ყოველთვის მერიას გვსაყვედურობდნენ.

ბაზრის პრივატიზაციის შედეგად მუშაობის მიერ ვალდებულებები იქნა აღებული, რამაც უმოკლეს დროში თავისი ნაყოფიც მოიტანა და დღეს აღდგენილი და განახლებული ბაზრის შენობა მომხმარებელთა ყველა პირობებს აკმაყოფილებს. კეთილმოწყობა მიმდებარე ტერიტორია, აღსადაც ავტოსადგური, მოწესრიგდა ბაზრის მიმდებარე ქუჩაზე მოძრაობა.

ამ და სხვა საკითხებზე გორის ადგილობრივ მმართველობის პოზიცია, მისი დაინტერესება მხოლოდ იმაშია, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას, განუხრებლად ახორციელებდეს ამ მიმართებით ხელისუფლების მიერ დასახულ ღონისძიებებს, ხელს უწყობდეს საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას. ამაზე გორის რეგიონის სოც. ეკონომიკური მანქანებლებიც მტყველებენ.

კატივისციპიტი,
გორის მერი ლ. კოზლიანიძე



პროდიუსორები ცდილობს გამ-
აცოფოს, ამიტომაც ჯერ თავი გაიცო-
ფა:

- ბატონო ვახტანგ, თქვენ დასახ-
ერგები ხართ, თქვენ და თქვენისთანებმა
დადგა საქართველო, ესენი რომ
შეგვათრით. ხომ არ გგონიათ, ამას
გაპატიებენ. ჩამოგახრებენ.

- გმადლობთ, გმადლობთ, მეხ-
უთე მიკროფონი.

ასეთიც იყო პარლამენტის ფსიქო-
ლოგია. დაუბრუნდები ყველაზე აქ-
ტიურ მიკროფონს, თუმცა, ბატონი გიგა
ზედ ამ მიკროფონის ძირას ირდილ-
ავდა მზეს, მაგრამ ბატონი გიგას მეტ-
ალის ხმას რად უნდოდა კიდევ მეტ-
ალი. ამიტომ ბატონმა თამაზ წიფურაძემ
ბატონ გიგას მჭეკარე ხმას უწოდა
მიკროფონი გიგა. (სტიტერატურული
საქართველო).

მოძრაობა და მოძრაობა არის, ჩემო
თერგო... ცუდ მოძრაობას კარგი
უძრაობა სჯობს. მაგრამ არა ისეთი,
როგორც იყო, როგორც არის. ლექსთ
ლუნია: „ცარიელი მშვიდობა მიწაშიც
გაეყოფის... ჩვენ ვეტრფით სტაბილი-
ზაციას, მაგრამ რის სტაბილიზაციას.
„სტაბილური მე მომწონს სტა ბილი-
ზატორი და არა სტაბილური შიმ-
შილიზაცია“ - რეზო მიშველაძე.

იმ პარლამენტმა რუსეთთან ეტაპო-
ბრივად ურთიერთობა მოაგვარა. ქვეყ-
ანა სრულ განადგურებას გადაარჩინ-
და. გაეა დრო, ეს გასაგები იქნება
ყველასათვის, დაიჯერებენ. გერმანე
ფაქციამ მისთვის ჩვეული იუმორით,
ერთ-ერთ ინტერვიუში ფროიდისტუ-
ლად ახსნა ჩემი პრორუსული ორიენ-
ტაცია - გოგუაძეს იმიტომ უყვარს
რუსეთი, რუსის ქალზე უყვარსო. მე
დონუჟანობას არ მივსდევდი, მაგრამ
გერმან, შენ ჯანსაღი კაცი ხარ და
გეტყვი, თუ ცოდვია ცოდვია, მაშინ
რუსთ „ქალთმოყვარეობა“ სჯობია
დასავლურ „კაცთმოყვარეობას“.

მე ხშირად ვფიქრობ წასული პარ-
ლამენტის ავ-კარგზე უწესრიგობისა
და „ბესპარდონიზმის“ მიუხედავად, რა
ხშირად გაიბრწყინებდა ქართული
სიკეთე.

ეს იყო კლორიტული პარლამენ-
ტი. ერთხელ ლუიზა შაკიაშვილმა მე-
ორე მიკროფონი ლამის დამალეწა
თავზე. შემდეგ ქოთქოთით გაეიდა
ეესტაბილიზაციის. იქ ურნალისტები
შემოეხეივნენ ლუიზა მლანძავს. უც-
ბად ერთმა ურნალისტმა მას ხმის
ჩამწერი მოუტანა იქ სადაც ეს საჭიროა
და ინტერვიუსთვის ჰკითხა ჩემზე.
ლუიზამ სულ შეატრიალა ყოველი,
ერთი ათად გამაღამაზა. ჩემი სპი-
კერი, ქა, ლეთისნიერი კაციაო, ქრის-
ტიანიაო და რა ვიცო... სამწუხაროდ,
ის გახეთი ხელთ არა მაქვს... აი, კახ-
ური ხასიათის ერთ-ერთი
გამონაკრთომი, „პილიპილ-მოყრილი
მადლითა“. მოდი და ნუ მოგენატრება
ლუიზას პარლამენტი!

1993 წელს რუსეთი და საქართვე-
ლო სამკედრო-სასიცოცხლოდ რომ
არიან დამტერებულნი, ჩამოდიან შახ-
რაი და აბდულატიპოვი - დუმის ვიცე-
სპიკერები. მიღება მაქვს. მიღებისას
მე ყოველთვის ვისწრებდი რამდენიმე
დეპუტატს, აუცილებლად ოპოზიციო-
ნურებსაც. ნათამეს ეთხოვე დასწრება.
ვიცი, იგი უკვე იღესავს კბილებს,
რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებს
თავზე დაადგეწოს რუსეთის იმპერია.
სტუმრებს ასე მივესალმე:

- მოხარული ვართ თქვენი მობრ-
ძანებით. ჩვენ, ქართველებს, მტკიცე
ადათი გვაქვს: „სტუმარი ღვთისგა-
ნაა“, სტუმარს ყველა პატივსაცემს,
არაეინ აწყენინებს.

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართვე-
ლო“, №6)

საუბარი მშვიდად, ნორმალურად წა-
რიმართა. ორი საათის შემდეგ დერე-
ფანში მივდივარ. მოდის ნათამე. შორი-
დანვე დაიწყო ყვირილი. კარგს რომ
არაფერს იტყვია, ხომ იცით.

- შენ იცი რა ჰქვნი დღეს? - რა
იყო, დაწყნარდი, ეამშვიდებ. - მე მა-

სახელდახელო ჩანაწერები

საქართველო

ფსიქოლოგიური აზიუღაბი

ვახტანგ გოგუაძე

გათ მოეთხრიდი, მაგრამ შენ რომ დაი-
წყე „Годы от Bora“, მერე რაღა უნდა
მექნა, შე მეტიხარა, შენ.

ნათამეს მე როგორ „ეუყვარდი“, ყვე-
ლას კარგად გახსოვთ. მაგრამ უცხ-
ოსთან ნათამე, უარგონით რომ ეთქვათ,
„არ ჩავიშვებდი“.

ჩემი მოწვევით ჩამოდიხ შემიეკო.
მე მასთან თავს ვიწონებდი ჩვენი პარ-
ლამენტის, მათ შორის ოპოზიციის, ინ-
ტელექტუალბობით, რომ ესენი რუსულ
ენას და კულტურას ჩემზე უკეთ ფლობენ,
ინტელექტუალბობის წრიდან არიან და სხვა.
შეგხედი ნათამეს და ეუთხარი, ამ საღ-
ამოს, კრწანისში, შემიეკოსადმი გამა-
რთულ ვახტანგზე უნდა მოხვიდე-თქო. -
კარგი, დამიქნია თავი და წავიდა. სამი
წუთის შემდეგ შემოდის კაბინეტში და
მეუბნება:

- ვახტანგ, შემიეკო არაა ცუდი
კაცი, მაგრამ რუსი რუსია მაინც და,
რა ვიცი, ჩემი დასწრება მაინც უხერხ-
ული არ იქნება?

- რა გითხრა იცი, მე დღეს იქ
მჭირდები შენ, როგორც მეცნიერ-ინ-
ტელიგენტი. დეე, ნახონ მაგათ, ჩვენ რა
დონის ინტელექტუალი ოპოზიციონერე-
ბი გვყავს.

ერთ-ერთ სადღეგრძელოს ალავერდს
გადავდივარ ნათამესთან, ასეთი შესაე-
ალ-წარდგინებით:

- ბატონო ვლადიმერ (ვლადიმერ
ფელიპოვიჩი), ბატონი ნათამე ჩემი
დაუძინებელი ოპოზიციონერია. ოცნებობს
ჩემი დასჯის ნაირ-ნაირ მეთოდებზე.
სიკედილით დასჯის წინააღმდეგია,
ოღონდ ჩემს გარდა. თუმცა ამ ბოლო
ჟამს ცოტა შეარბილა ჩემს მიმართ რისხ-
ვა და სამუდამო პატიმრობით მიმსუბუ-
ქებს სასჯელს. მე თანახმა არა ვარ.
სამუდამოდ კამერაში ნათამის გარეშე
რა გამაძღვინებ, თუ არ ვიკამათეთ
და ეთავაზობ რამდენიმე ოპოზიციონერს
ჩემთან ერთად დასდნენ, არ მოვიწყ-
ენთ. ბატონი ნოდარი გახლავთ პარლა-
მენტის თავდაცვისა და უშიშროების
კომისიის თავმჯდომარე, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
შესანიშნავად ფლობს ინგლისურ, გერ-
მანულ, ფრანგულ ენებს. ლაპარაკი
ალარაა რუსულზე. როცა ის ხანდახან
გულმოსულია რუსებზე, ცდილობს დასა-
ჯოს რუსეთი იმით, რომ, საგანგებოდ,
აქცენტით ლაპარაკობს რუსულად. ამ
სალამზე მოწვეული მყავდა ერთ-ერთი
ჩინებული ანსამბლის რამდენიმე წევრი
(ვადერი ასათიანის ხელშეწყობით).
წინასწარი თხოვნით, დრო და დრო ისინი
რუსულ სიმღერებსაც მღეროდნენ ისე
ტკბილად, რუსებიც რომ ვერ იმღერებდ-
ნენ.

ამღერდა შემიეკოც. სუფრას
ვამთავრებთ, ის დროა, მომღერლებმა
დასტუქეს „კატიუშა“. ნათამე ამირიზა,
ადგა, ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა, -

„მაგი უკვე ნამეტანიაო“.

ამას წინათ, ცოტა წვიპურტი მეც
წაეკარი ბატონ ნოდარს „შანსში“. გაზე-
თის გარეკანს ამშვენებდა მშვენიერი
კარიკატურა. სახრზობელაზე გამოვიდე-
ბულ გოგუაძეს ზემივე ფრაზის თანხ-

საქართველო

ფსიქოლოგიური აზიუღაბი

ვახტანგ გოგუაძე

ლებით - „ნათამე ხან ჩამოღრზობას
მპირდება“! თოკით ეჭაჩება ნათამე, ესე
იგი, ენერგოულად რომ ჩამოაღრზოს (ცოტა
ხნის შემდეგ შემთხვევით ხედება „შან-
სის“ რედაქტორს ბონდო ქურდაძეს. ბონ-
დო ეკითხება - როგორ მოგეწონათ,
ბატონო ნოდარ, თქვენს მიერ გოგუაძის
ჩამოღრზობის სურათი.

- უფრო მაგრად, უფრო მაგრად
უნდა ჩამოგვეღრზო.

მე ძალიან მომწონდა აკადემიკოს
რევაზ ნათამის „ფსიქოლოგია“. სტუდენ-
ტობისას მის ლექციებს ხანდახან მოხ-
ალისედე ვესწრებოდი ხოლმე. შემდეგ
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტე-
ტის პარტიის კრებაზე ეხედებოდით. აქ
ლაპარაკი იყო მეცნიერულ-მეთოდურ,
პედაგოგიურად აუცილებელ საკითხე-
ბზე. ბატონი რევაზი ძალიან აქტიური
გახლდათ მეცნიერებისა და სწავლების
საკითხების მიმართ. ერთხელ არდადე-
გები ახლოვდებოდა, ფაკულტეტის კრე-
ბაზე აგორდა საკითხი: ფილოსოფიისა
და ფსიქოლოგიის საეკვიპოებზე შემს-
ველთათვის მისაღებ გამოცდებზე უნდა
ჩაბარდეს გამოცდები მათემატიკაში. მხ-
არი დაუჭირა ბატონმა რევაზმა. ზო-
გიერთები ამტკიცებდნენ, რომ ეს ხელს
შეუწყობს აზროვნებას ოპერირებას, გა-
დიდრებას და ა.შ. ჩემი აზრით კი,
ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური აზროვნე-
ბა უფრო რთულია, ვიდრე მათემატიკა.
ეს მე კარგი მათემატიკოსებისგანაც მს-
მენია. თუმცა, საკითხი სადარა. ვინც იქ
ვიჯექით, აღარც ერთს არ გვახსოვდა
მეხუთე კლასის არითმეტიკაზე მეტი.
ყოველ შემთხვევაში, აბიტურიენტის
დონეს ჩამოერჩებოდა. სკოლაში მეც
ფრიალები მქონდა, მაგრამ ვინც არ მიყე-
ბა მათემატიკას, ბუნებრივია, ავიწყლე-
ბა: საღბათ, იშვიათი გამოხატვისების
გარდა. მე ასე დაესვი საკითხი: მხარს
ეუჭერ მათემატიკის შემოღებას მისაღებ
გამოცდებზე, ოღონდ ეს გამოცდები უნდა
ჩაბარონ არა მათემატიკოსებმა, არამედ
ჩვენ ფილოსოფოსებმა და ფსიქოლოგე-
მა... ბატონი ნოდარისაგან განსხვავებით,
ბატონ რევაზ ნათამეს გაელშია, მიხედა
„გონების ცბიერებას“ (ვეგელის გამოთქ-
მა). საკითხიც მოისხნა დღის წეს-
რიგადან.

1984 წლის 11 მაისს უნივერსიტეტ-
ში სადოქტორო დისერტაციის ვიცე-
ოფიციალური ოპონენტების შემდეგ
გამოდის არაოფიციალური ოპონენტი,
რომელმაც ზუსტად 5 საათი ილაპარაკა
ჩემსა და ჩემი დისერტაციის შესახებ:
გოგუაძე არის მარქსიზმის მტერი, ეს
ფილოსოფიის კი არა, თეოლოგიის დი-
სერტაციაა, ეწვეა რელიგიის აპოლოგე-
ას და ჩვენი იდეოლოგიისათვის, ქვეყ-
ნისათვის არის საშიში მოვლენა. ახლა
ეს ხუმრობად აღიქმება, მაგრამ მაშინ
ეს არ გახლდათ იაენანა. სხვათა შორის,

სარწმუნო წყაროებიდან შეიძლება
როცა მოსკოვში გაეშენა უნივერსიტე-
საატესტაციო კომისიაში) იხილად-
ნენ შრომას, ინფორმატორმა მოახსენა
სხდომას, - არაოფიციალური ოპო-
ნენტის გამოსვლა გრძელდებოდა ხუთ
საათს (ტექსტით 136 გვერდი). ამაზე
განყოფილების გამგემ სიცილისაგან
ტაში შემოჰკრა - Репорта Советского
Союза!

მაგრამ 14 მაისს ხუმრობის ხას-
იათზე ნამდვილად არ ვიყავი. არ ვი-
ცოდი, შედგებოდა თუ არა დაცვა,
ამიტომაც დისერტაციაზე თავი შე-
ვიკავე. მაგრამ ჩემი სიყრმის ძმაკა-
ცის, ახლა პროფესორ იუზა ევგენიძ-
ის ქეისლის კოტე შამათავას სახლში
დამის თორმეტ საათზე გაიმართა სახ-
ელდახელო სუფრა. იმისთანა სუფრას
ვერ ვმართავდი კრწანისში მაღალ-
მალალი სტუმრებისთვისაც. ტარიელ
ჭანტურიაძე თქვა: უნდა დაილიოს იმ
კაცის სადღეგრძელო, ვინც დღეს ყვე-
ლაზე მეტი სიმართლე თქვა: არაოფი-
ციალურმა ოპონენტმა საზიზღარ დი-
სერტატს სულ ქრისტიანი ეძახა, არ
სწამს ამ კაცს საბჭოთა იდეოლოგიის
არაფერი. არ თქვა სწორი?..

სხვათა შორის, მიუხედავად ამისა,
ის კაცი მართლაც საინტერესო
პიროვნება გახლდათ მე. მას უყვარ-
დი, მართალია, დასახერხებლად ისიც
ხშირად მიმეტებდა, მაგრამ ადრე ჩემზე
ამაგი ჰქონდა გაწეული. არც იმ დი-
სერტაციის შემდეგ დამეღრზებოდათ
ერთმანეთს. რაც შემეძლო ვცდილობ-
დი ყველა მის თხოვნას ყურადღებით
მოექცეოდი. მას ბევრი სიკეთეც
გაუკეთებია. ადამიანი მართლაც რთუ-
ლი მოვლენაა.

კოტე შამათავას ოჯახში ისტო-
რიული პურ-მარიღებიც გამართულა.
1974 წელს მოხდა. დიდი ფაქტი.
თბილისის და იენის უნივერსიტეტებ-
ის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა
პირველი ქართული ჟურნალი გერ-
მანულ ენაზე „გეორგია“. ეს საზეიმო
საღამო კოტეს ოჯახში აღინიშნა. ბა-
ტონმა ვადერიან გამყრელიძემ, გა-
მომცემლობის დირექტორმა, გერმანელ
სტუმრებს უთხრა, - მე შემიძლია
დავიმტკიცოთ, ქართველები გერ-
მანულზე უფრო ეთონმოყრი ხალხი
ვართ. აი, მაგალითად, ამ სუფრაზე
სამ სართულად აწყვიდა საჭმელები.
თქვენ ამდენი საჭმლის განთავსებას
სუფრაზე გაცილებით მეტ ფართს
დაუთმობდით. როდესაც სიმღერები
დაიწყეს უნივერსიტეტის ლექტორებ-
მა: ლადო მინაშვილმა, იუზა ევგენიძემ,
რეზო სირაძემ და კიდევ ერთი-ორმა,
„სტუმრები მოიხიბლნენ და მართლაც
არ დაიჯერეს, რომ ეს პროფესიონალ
მომღერალთა გუნდი არ იყო... თამადა
მორიგ სადღეგრძელოს სემას, ალა-
ვერდს გადადის გერმანელ სტუმრებთ-
ან. ერთ-ერთი მათგანი სადღეგრძე-
ლოს წარმოთქმის წინ ბატონ გურამ
თევაძეს ეკითხება, - მეც უნდა შეე-
ქო?.. ყველას გაგვეცინა. სტუმრებმა
ვერ შენიშნეს. გურამი უხსნის გერ-
მანული ენის მშვენიერი ცოდნით, თუ
იცნობთ ამ პიროვნებას, როგორც ქე-
ბის ღირსს - კი, თუ არა და რატომ
უნდა შეაქოთ?

- კი მაგრამ, თქვენ ყველანი ასე
კარგები ხართ, როგორც ერთმანეთს
აქებთ? - პატიოსანი გულუბრყვილო-
ბით იკითხეს გერმანელებმა.

- ჩვენ იმ ადამიანებთან არ
დავსხვდებით სუფრაზე, ვისი ღირსე-
ბებიც არ გვწამს... „ჟოუნდერლიჰ“, „ვი-
უნდერლიჰ“. აღფრთოვანდნენ გერ-
მანელები ჩვენი პოეტური, ურთ-
იერთგამაკეთილშობილებელი სა-
დღეგრძელოებით.

გაგრძელება იქნება

ნუბზარ ფოფხაძე: ... გააუფრთხილეთ, დაღვანეთ, როგორც როსა ან ახგანს საჯაროდ მოყვანი- ებითი. ეს დროს დაღვა, დღეს!

მეცხრე გვერდიდან

ის "რედაქტორის ელიზბარ ჯაფარიძის და „თბილისის“ რედაქტორის არჩილ გოგელიას და პირისპირ დღეობით ენუჭიქესთან. დღევანდელ წინ საბჭოელ მანქანაზე გადმოღებული სტატია „სარეველა“ და შევაპარე: ალბათ, არ გახსოვთ-მეთქი ეს მასალა: როგორ არაო, იქნებ. თუ გახსოვთ, როგორ მიაღებთ ამ „ბოდილის“ დაბეჭდვას-მეთქი. ჯაფარიძემ და გოგელიამ აღფრთოვანებულმა თავი გადასდეს ჩემს მხარდასაქარად.

ენუჭიქემ გადაიკითხა და... ალ-ალად წამოვიდა: ეს რა უბედურე-ბაა! უმალ დაგვეთანხმება და დაბეჭდვით დაგვიბრუნა პატიაშვილის გადასწავლას...

შეასრულა კიდევ სიტყვა-ხუთი დღე „სარეველას“ შესახებ კინტი არავის დაუძრავს.

...შაბათს საღამოს, ტრადიციულად 8 საათისთვის რედაქციაში ვბრუნდები და...

ოღონდაც არ გაგვიცინოთ. მე მაშინ სიცხის გუნებაზე არ დაემ-დგარვარ, რადგანაც 24 წლის განმავლობაში ჩემმა მუდმივმა თან-აშემწემ მზია შამიაშვილმა ლამის მართლაც უკვე ტრადიციადღებული „სიურპრიზი“ დამახვედრა: ენუჭიქე ისევ გეტბოთ! კიდევ რაღაც მასალა დასაბეჭდო და ისეთი თვალებით შემომხედა, ნაღდად ვეცოდები.

გურგავა-„სარეველა“ უნდა დაბეჭდულიყ...

დანარჩენი რაც მოხდა, დილა-გების ჩათვლით, იხილეთ ზემოთ, ისე გაქრილი ვაშლივით ჰგავს ახლან-დელი-წინა სტატიის გამოქვეყნების ამბავს. ოღონდაც; ამჯერად, სუკის ხელმძღვანელობა რედაქციაში არ მინიჭებია და მომდევნო კვირა დილითაც მინი პატიაშვილსაც არ დაურეკავს.

ორშაბათს დილით მთელი ქალ-აქი ფეხზე დაღვა. მანამდე ასე და ამდენი, ალბათ, არ უღანძობიათ ცკ და „კომუნისტი“. ახალგაზრდა „არ-აფორმალთა“ დღევანდელი (მაშინ გავიცანი ირაკლი ბათიაშვილი) ჰვა ქვაზე არ დატოვა ენუჭიქის კაბინეტში. როგორც კი მათი შეტყვევებით „გაქირვებამი“ ჩაეარდ-ილმა ენუჭიქემ ჩემს ბოსტანში კენჭის გადმოკვლევა მოინდომა, ვაგრძობინე, რასაც ვიტყვადი და...

ცოტა ხანში გამოჩნდნენ „სარეველას“ სხვა „პერსონაჟები“ - ზგამ-სახურდას ახალგაზრდობისდროინ-დელი მეგობრები, უალრესად პატ-

ივსაცემი და საყვარელი ადამიანები, ისინი, ვისი გვარებიც ახლან-დებულნი ტექსტიდან კი ამოვიღეთ, მაგრამ, ჩემთვის, ისევე, როგორც მათთვის, ეს ვერაფერი შეღავათია. ერთი მათგანი, უნიჭიერესი მწერ-ალი და კეთილშობილებით აღსავსე კაცი, გურამ დოჩანაშვილი მისალმებისას გადამეხვია და მითხრა, რომ მჯერა, ამ „სისულელეს“ შენ არ იზამდიო. ენუჭიქემ მათთან შეხვედრა თავიდან რომ ვერ აიცი-ლილა, მოკლედ „მოკრა“ და კვლავი პატიაშვილს გადავგილიცა. მასთან ერთად შევედი სამუშაო კაბინეტში...

ამ უხერხულ ვითარებაში, ერ-თადერთმა, რაც დამაშვილა, ის იყო, რომ პირველმა მდივანმა თქვა: გა-ზეთი ცკ-სია და რედაქტორთან ნუ გეჭებათო პრეტენზია...

მაღე თბილისში გავრცელდა ბნ ზ. გასახურდას „ლია წერილი გაზეთი „კომუნისტი“ რედაქციას“. ჩემს მტერს, რაც იქ ვწერა. სამწუხაროდ, დავიმსახურეთ. ერთ ფრაგმენტს მაინც გაგაცნობთ: „...უკანასკნელ პერიოდში, როგორც ვიცით, თავად გაზეთი „კომუნისტი“ შეიცვალა და გა-რდაიქმნა ეპოქის შესაბამისად, მიადწია უდიდეს წარმატებებს საჯაროობის ფრონტზე, შეიძინა გულახდილობა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ იგი სხვა „კომუნისტი“ და არა ის, რომელ-ღაც თერთს შავად გვისაღებდა, ქორებს-უტყუარ სიმართლედ და ცილისწამებას-მადლად. მაშ რით ავხსნათ ის გარემოება, რომ ამ „გარდაქმნილ“ გაზეთში... გამოქვე-ყნდა ახალი პასკვილი, რომელმაც გადააქარბა იმ წარსული ეპოქის „შედევრებს“ ქორით, ღვარძლითა და ფალსიფიკაციით?..“

ასევე, ამ პუბლიკაციას დაუყო-ვნებლივ გამოეხმაურა ემიგრაცია. ცურნალი „გუშაგი“ სინანულით წერდა, რომ ემიგრაციის წრეებში კმაყოფილებით შეხედნენ ფოფხაძის დანიშნულ „კომუნისტი“ რედაქ-ტორად და რაღაც იმედი ჩაგვესახრა, მაგრამ ზგამსახურდას შესახებ ამ წერილის გამოქვეყნებით ჩვენს იმედებს წყალი გადაესხაო...

მათ ბუნებრივ შევითხვებს პასუხი, ვფიქრობ, 9 წლის შემდეგ ზემოთქმული გავეცი.

ესაშუბრა
ბუბაზ მიბრედიძე
გავრქმელება იქნება



ბილაქა ენას გველოჯინი...

სტინოგრაფიული ანბარიში სამართივალთ მუშაკლთა ღია პრავისა. 1978 წლის 11 აპრილი. კრავის თანმჯლომარე - ნაუშაბაქ

წინა ნომერში შეგპირდით, რომ გამოვქვეყნებდით ნოდარ წულეისკირის სიტყვის სტენოგრაფიას. ეინიდან, საარქივო დოკუმენტებში არ აღმოჩნდა ბ-ნ ნოდარის სიტყვის ჩანაწერი, მას უახლოეს მომხელაში მოვიძიებთ და შემოგთავაზებთ.

თქილაქი — მე, ძიერ-ფასო ამხანაგებო, დაწერილი არა მაქვს ჩემი სიტყვა და ალბათ ისეთი ეფექტური არ იქნება ჩემი გამოსვლა იმიტომ, რომ ასეთი ზეპირი ლაპარაკი უფრო ნაკლებ ეფექტურია.

როგორც უკვე ითქვა აქ და როგორც უკვე მოგახსენეს თქვენ, როგორც ბატონმა გრიგოლმა ბრ-ძანა - გუშინ იყო პრეზიდენტის სხდომა, სადაც მეც გამოვედი სიტყვით ჩემს ამხანაგებთან ერთად, რადგანაც მე მჭამს, რომ ამხ-ანაგები სწორად უტყუენ მხარს ამ წინადადებას, რომელიც წი-ნადადებთაც შევედი ცენ-ტრალურ კომიტეტში ამდენად ის პათოსი მე უკვე აღარა მაქვს მე მომიხლება გამოვირება და როგორც ბატონმა ზურაბმა თქვა - გამო-რება ცოდნის დედაა.

მე მინდა მოგახსენოთ, რაუ-დაც მე მიფიქრია არა ერთი და ორი დღე, როგორც თითოეულ თქვენგანს და რატომ ვფიქრობ და რატომ არის ეს გრძობა ბუნე-ბრივი? - აი ამის დასამტკიცე-ბლად ერთ ფაქტს მოვიყვან.

ამხანაგმა ბრევენებმა საბჭო-თა საქართველოს 50 წლისთავეზე თქვა: „ალბათ, არ არის კაცი, რომელსაც ძეგალ-რბილში არ პქონდეს გამჯღარი მამათა.“ ეს მეგობრებო, ძიერფასო სიტყვა სწო-რად გამოხატავს იმ სულისკეთ-ებას, რომლითაც თითოეული ჩვენ-განია გამსჭვალული. მაგრამ სწორედ ამიტომ, რომ ეს ბუნე-ბრივია და ნამდვილი ადამიანებ-ისთვის არის დამახასიათებელი თავისი ენის, თავისი მიწის სიუ-ვარული, რომ ადამიანობას გან-საზღვრავს, რამდენად გიყვარს შენ შენი სამშობლო, შენი ენა. ამდენად, მე ის არ მიკვირს, რომ კონსტიტუციის განხილვამ ასეთი პერიპეტეები გამოიწვია, არამედ მე მიკვირს ზოგიერთი ჩვენი დაწესებულების ხელმძღვანელთა დამოკიდებულება ამ კონსტი-ტუციის მიმართ.

მე არ შემოძლია არ აღენიშ-ნო, რომ ამ არასწორმა დამოკ-იდებულებამ, ამ უკანონო დამოკ-იდებულებამ ბევრი გაუგებრობა გამოიწვია, განსაკუთრებით ახალ-გაზრდობაში. როდესაც შენ იმას არ დაწერ, რაც ხალხმა თქვა, ხალხმა გამოთქვა თავისი აზრი და შენ იმას არ წერ, ბოლოს და ბოლოს, ეს პროექტი ხალხს გან-სახილველად აქვს გადაცემული. ხალხს სიმართლე აინტერესებს და არა რედაქტორის მიერ რე-დაქტირებული ტექსტი.

ცენტრალურ კომიტეტში კიდევ ერთხელ ითქვა გუშინ: - ჩვენ გავინტერესებს სიმართლე მაგრამ იყო ფაქტები, როგორც ამბობს ხალხი, ზოგიერთი გამოიწ-ვინილი მეცნიერიც, ზოგიერთი ინ-სტიტუტის ხელმძღვანელიც კი თავიანთ გამოსვლებში არც კი შეეხენ ასეთ მნიშვნელოვან ამ-ბავს როდესაც ხელმძღვანელი არ შეეხება და მტკიცე გადაწ-ვეტილებას არ შესთავაზებს თავის კოლექტივს თავისი სიმხდა-ლის გამო, რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი რისი გეშინია? ბევრი გაუგებრობის მიზეზი აი ამ დაძა-ბულობის შექმნაში არის ის, რომ ზოგიერთმა ჩვენმა თანამდებობის პირმა, დაწესებულების ხელმძღ-ვანელობამ, გადააკეთებულნი ან თავის მიერ შედგენილი ოქმები

წარადგინეს არ არის სწორი. ჩვენ უნდა გვეთქვა სიმართლე. თვითონ ასეთი დამოკიდებულებ-ბა, ასეთი მღელვარება ხომ იმას ნიშნავს - კონსტიტუცია რამდენად ახლოს მიგვაქვს გულთან. ჩვენ ხომ ენახეთ, მთელმა ქართველმა ხალხ-მა რა ერთსულოვნად დაუჭირა მხ-არი საბჭოთა კავშირის კონსტიტუ-ციას ახლა კი ასეთი გაუგებრობაა. მე, ჩემის ღრმა რწმენით, მგო-ნია, რომ ეს კონსტიტუციის პროექ-ტი იმისთვისაც კი გვაქვს გად-მოცემული განსახილველად, რომ თუნდაც პატარა უზუსტობა არ წა-სულიყო და არ დაიღუბოს ჩვენი დიდი მონაპოვარი. ყველა პატარა უზუსტობა უნდა იყოს აღწესდული და ის მოქალაქეობრივი და პათოს-ნური პოზიცია იქნება მიტანილი და გაუგებრინებთ, რომ ეს არ არის სწორი.

რაც შეეხება თვითონ კონსტი-ტუციის პროექტს, მე გუშინ ვილა-პარაკე ამის შესახებ და გაემიერ-ებ, რომ უპირველეს ყოვლისა, აქ მასშტაბურობა იძურობს ყურადღებას შემოქმედებითი ატმოსფერო, შემო-ქმედებითად დამუზღულია კონსტი-ტუციის პროექტი და სწორედ ამი-ტომ იმის ზოგიერთი უზუსტობა ასე მძაფრად, იქ არის ასეთი პუნქტი შემოქმედებაზე, არსად ამდენი ლაპარაკი არ არის შემოქმედზე და შემოქმედებაზე, რამდენიც ამ კონ-სტიტუციაშია. მთავარია, ჩვენ კონ-სტიტუციაშია როგორ მივიღებთ.

განა თქვენ არ გახსოვთ, რომ ქუთაისის ოპერის თეატრის რეჟისო-რმა განაცხადა, რომ როდესაც „დარიასანის ვასაჭირს“ ვდგამდით, მსახიობებს მოთხრობა წაკითხული არ პქონდათ. ეს კონსტიტუცია ჩვენ გვეჩნდა, მაგრამ არ ვიყენებდით, როგორც საჭიროა, რომ სამხატვრო აკადემიაში, კონსერვატორიაში, თე-ატრალურ ინსტიტუტში გვეწავ-ლებინა ქართული ლიტერატურა, უცხოური ლიტერატურა, განა შეი-ძლება კაცმა სამხატვრო აკადემია დაამთავროს და არ იცოდეს მშობ-ლიური ლიტერატურა, ან უცხოური ლიტერატურა და საბჭოთა ლიტერ-ატურა, ამასეც უნდა ვილაპარაკოთ იმ კონსტიტუციაში იყო, მაგრამ როგორ ვიყენებდით? ეს გულახდი-ლად უნდა ვთქვათ.

განა არ არის ის ამბავი დამ-აფიქრებელი, რომ შესანიშნავი სექტაკლები დაიდგა ჩვენი ოპერის თეატრში და ერთი რეცენზია არ გამოქვეყნებულა. დამწერი არ არის, მუსიკისმკოდნე არა გვჯავს ეს რისი ბრალია?

ამ დარბაზში მე ვხედავ სახ-ეებს, რომელთა მიმართ მე დიდის პატივისცემითა ვარ გამსჭვალული იმიტომ, რომ ისინი გამოდიოდნენ და ლაპარაკობდნენ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ უმსგაუ-სო ამბებზე და მათ არ უჯერებდ-ნენ, 10-15 წლით ადრე იბრძოდნენ და ახლა იმის შედეგებს ვხედავთ, როცა ბრმა ნაწლავის მაგიერად შარდის ბუშტს აჭრიან ბავშვებს კიდევ მეტი, ისე გვაქვს აღზრდილი ახალგაზრდობა, წერა-კითხვა არ იციან, ვერ ვასწავლეთ ხელოვნებო-მცოდნეების მთელი არმია გვაქვს რომლებიც ვერ დაწერენ რეცენ-ზიას. შეუფასებელია უამრავი სექტაკლი, უამრავი ფილმი, რად-გან დამწერი ხალხი არა გვაქვს როდესაც კონსტიტუციაში ენის სახ-ელმწიფოებრიობა იყო, ეწერა, ამას ჩვენ ვერ ვიყენებდით.

ჩვენსეც ბევრია დამოკიდებული, ვიყოთ გულწრფელი, ახლა, რაც შეეხება თვითონ კონსტიტუციის პროექტს, მე უკვე ვილაპარაკე

ღირსებაზე, რომელსაც მე მთე-ლი არსებით ვუჭერ მხარს იმ პა-ტივეციულ ამხანაგებთან და მე-გობრებთან ერთად, რომლებმაც გუშინ საერთო პოზიცია შეე-მუშავეთ. მე, როგორც როგორც ვწერ, ჩემთვის საბატიო მოველე-ობად ვთვლი მათთან ერთად ვიყო ამ ჩემთვის სწორი გადაწ-ვეტილების დროს აქ უკვე ითქ-ვა, ძალიან კარგად ითქვა, მღელ-ვარედ ითქვა, მაგრამ თავს უფლე-ბას მივეცი გაემიერო. ის მუხ-ლი, რომელსაც ჩვენ ვილაპარ-აკობთ, აქ მის მთორ ნაწილში სწერია: „საქართველოს სსრ ყვე-ლა ამ ორგანოს და დაწესებულებ-ბაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილ-ნი თავისუფალი ხმარება რუსუ-ლი, აგრეთვე სხვა ენებისა, რომ-ლებითაც მოსახლეობა სარგე-ბლობს“. აქ არ არის არცერთის უპირატესობა, მაგრამ ქართულ ენაზე განსაკუთრებით სწერია „ქართული ენა.“

რატომ იმიტომ, რომ ქართუ-ლი არის რესპუბლიკის ენა და ის აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში მრავალჯერ, რომ ჩვენ გვაქვს რესპუბლიკა და ეს არის რესპუბლიკის ენა. მე ღრ-მად მჯერა, რომ ჩვენი რესპუბ-ლიკის კონსტიტუციაში ჩაიწერე-ბა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ენა არის ქართული ენა.

თუ ეს პუნქტი ასე არ შეს-წორდება, უკეთესია ეს პუნქტი ამოღებული იყოს, რომ მოისპოს ყოველგვარი გაუგებრობის და უს-ამართლობის პირობები. კიდევ გაემიერებ, კარგი იქნებოდა მე-გობრებო, და აუცილებლობა მი-მანჩია, რომ პროექტის 43-ე მუხ-ელში, რომელშიც სწერია უფლე-ბა, შესაძლებლობა აქვს ადამი-ანს ისწავლოს სკოლაში თავის ენაზე, იყოს არა მარტო სკოლა, არამედ იკითხებოდეს - სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში, სპეციალურ სასწავლებლებში სწავლება დედაენაზე იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ზოგიერთი აფ-ტონომიური რესპუბლიკა, სადაც სკოლებში კი ასწავლიან მშობ-ლიურ ენაზე, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლები არ არის მშობ-ლიურ ენაზე.

მე მგონი ეს მუხლი ასე უნდა იყოს შესწორებული (მეტი - სწო-რია, სწორია).

ამის გარდა, მეგობრებო, იმის გამო, რომ 75-ე მუხელში ასეთი უზუსტობაა, კიდევ არის ერთი ასე-თი ჩემს მიერ გააზრებული მუხ-ელი, მუხლი 110-ე. საქართველოს სსრ კანონები, საქ სსრ უმაღლე-სი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავ-ტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ენაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯღ-ლომარისა და მდივნის ხელმოწე-ვითი“. ამხანაგებო, მე მგონია აქ გარკვევით უნდა იყოს ნათქვამი, რომ აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკის ენა არის ქართული ენა, აფხაზეთისა - აფხაზური და ოს-ეთისა - ოსური, თორემ ჩვენ ერთხ-ელ დაგვიწერეს персид c Алжарского და ეს სირცხვილია. ჩვენ უნდა დავწეროთ - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონები ქვეყნდება ქართულ ენაზე.

ეს არის ჩემი მოფიქრებული შენიშვნები. ჩემი მეგობრების გა-მოსვლები, ჩემი უფროსი ამხანაგ-ების გამოსვლები იყო პრინციპული, ნაფიქრი და ჩემს ხმას კიდევ ერთხ-ელ ამ გამოსვლებს უკურობ (ტაში).

გავრქმელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №4, 5, 6

გავრქმელება იქნება



იუმორის გვირგვინი - წუთიწუთს ვინაობა

ხოჯა ნასრედინს ჰკითხეს, არაბულად ცივ ფლავს რა ჰქვიაო. ხოჯა ბაიბურში არ იყო და უპასუხა:

- სიმართლე თუ გნებავთ, გეტყვით, არაბები ფლავს არასდროს აციებენო.

ხოჯა ნასრედინს აქოშინებულმა მეზობელმა ხმის კანკალით უთხრა:

- ხოჯა, შენი ბიჭი დაეცა და გონება დაკარგაო.

- შენ დაწყარდი, - მიუგო ხოჯამ, ჩემ ბიჭს გონება არასდროს ჰქონია და რას დაჰკარგავდაო.

ხოჯას ჰკითხეს:

- როდემდე იქნება ქვეყნად დაბადება და სიკვდილი?

- იქამდე, ჩემო კარგო, სანამ სამოთხე და ჯოჯოხეთი არ აივსებაო.

- ხოჯა, შენი ცოლი ცოტა ბევრს ხომ არ სეირნობსო, - ჰკითხეს ერთხელ ხოჯას.

- კარგი, თუ ძმა ხარ, ეგრე რომ იყოს, ერთხელ ჩემთანაც შემოვივლიდაო.

ერთხელ თემურ ლენგმა ხოჯა ნასრედინს ჰკითხა:

- რას იტყვი, ხოჯა, შენი აზრით, ქვეყანაზე ქალი მეტია თუ კაციო?

- ქალიო, - დაბეჯითებით უპასუხა ხოჯამ.

- ეს როგორაო, - გაიკვირვა თემურ ლენგმა.

- როგორ, ჩემო მბრძანებელო და, ქალი ხომ იმდენია, რამდენიც არის; ის კაცები კი, რომლებიც ქალების ჭკუაზე დადრან, ისინიც ქალები არიან; გამოდიხ, რომ ქალი მეტი ყოფილა კაცზე.

ხოჯა ნასრედინს ერთი დედაკაცი ეახლა და უთხრა:

- ქმარი დამპირდა, ბაირამის დღეს ახალ ჩუსტებს გიყიდის; როდის იქნება, ხოჯა, ბაირამობა?

- შენი ბაირამობა მაშინ იქნება, ძვირფასო, როცა შენი ქმარი ახალ ჩუსტებს გიყიდისო.

ერთი კაცი ხოჯასთან მივიდა და უთხრა:

- ოსტატობისას რამდენს აიღებ, ჩემი შეილი რომ მოგაბარო და წერა-კითხვა ასწავლო?

- ექვს თუმანს, - მიუგო ხოჯამ.

- რას ამბობ, ხოჯა, ექვს თუმანდ ხომ ექვს ვირს ვიყიდის?

- შენთვის მართლაც ეგ

ხოჯა ნასრედინის თურქულიდან ახლად ნათარგმნი ანეკდოტები

აჯობებს, დასტური მისცა ხოჯამ, რადგან შენი შეილიანად შეიდი ვირი გეყოლებათ.

ერთ დამეს, როცა ხოჯას და თავის ცოლს ტკბილად ეძინათ, ბავშვმა ტირილი მორთო და ორივე გაადვიდა.

ციოდა: ცოლსაც და ქმარსაც ეზარებოდათ ადგომა და აკენის დარწვევა, ამიტომ ყუჩად იყვნენ, ვითომ ბავშვის ტირილი არ ესმოდათ. ბოლოს ქალმა ვედარ მოითმინა და ქმარს უთხრა:

- ადე, ხოჯა, აკვანი დაურწიე ბავშვს, ნახევარი შენი არ არისო?

- ქალო, იცი რას გეტყვი, მიდი შენ შენი ნახევარი დაარწიე, ჩემმა ნახევარმა იტიროს, არა უშავ რაო.

ერთ დღეს ერთი კაცი ხოჯასთან მივიდა და უთხრა:

- ხოჯა ბატონო, ვირი დაეკარგებ ბევრი ვექებე, მაგრამ ამოდ. ჩემი თხოვნაა, მეჩეთში მრევლს გამოუცხადო, ეგებ ვინმემ იცოდეს იმისი ადგილ-სამყოფელიო. მოლა დათანხმდა, მინარეთზე ავიდა და გადმოიძახა:

- ხალხო, ვინც თქვენში თამბაქოს არ ეწვევა, ქეიფს არ მის-

აბც და მიძულა ციტილმა,
აბცა ცრემლომის დენამა,
მიძულა ისეუ სიცილმა,
ლაქაძრდიანმა ონამა

დევს და დროსტარება არ უყვარს, ვთხოვ ფეხზე წამოდგესო.

ერთი კაცი წამოდგა და ხოჯას ასძახა:

- მე ვარ სწორედ ის კაციო. ხოჯამ მაშინვე მონახა ვირის დამკარგავი და უთხრა:

- აი, ბატონო, შენი დაკარგული ვირი, აღვირი ამოსდე და შინ წაიყვანეო.

ზამთრის დამეა. ხოჯა ნასრედინი საბანში გახვეწულა და სძინავს. უცებ ქუჩაში აყალ-მაყალი ატყდა. ხოჯამ გაიღვიძა, ყური მიუგლო, მიხვდა, რომ ორი კაცი ჩხუბობდა. ცოლი არ მოეშვა, გინდა თუ არა წადი, ნახე, ქუჩაში რა ამბავიაო? ხოჯა საბანში გაეხვია და ქუჩაში გავიდა:

- რასა შერებით, არა გრცხვენიათ? ცოდვას სჩადიხართ იცოდეთო, ყვიროდა გაავეებული და თან იმით გაშველებასა ღამობდა.

უცებ, ერთ-ერთმა მათგანმა ხოჯას საბანს ხელი სტაცა და გაიქცა. მეორეც უკან დაედევნა. სიცივისაგან აძაგდაგებული ხოჯა ერთხანს ქუჩაში გაოგნებული იდგა, მერე კი იკადრა და შინ მოუსვა.

ხოჯას ცოლმა მაშინვე მიახალა:

- რა იყო, რაზე ჩხუბობდნენო?

- ჩვენ საბანზეო, უპასუხა ხოჯამ, - საბანი წაიღეს და ჩხუბიც მორჩაო.

ერთ დღეს ხოჯამ ვილაცას ჯუზა (ჯუზა - ყურანის ჩასადები აბგა) მოპარა. ცოლი შეუჩნდა, გინდა თუ არა წადი, ეგ ჯუზა გაყიდე და ჩუსტები მიყიდეო.

ხოჯამ ნაჭურღალი ბაზარში წაიღო გასაყიდად, მაგრამ იქ ვილაცამ ოსტატურად აწაპნა შენი ჯუზა.

ხოჯა შინ ხელცარიელი დაბრუნდა.

- როგორ გაყიდე, - ჰკითხა ცოლმა.

- როგორც ვიყიდეო, - უპასუხა ხოჯამ.

ერთხელ დალაქი ხოჯას დაჩღუნებულს სამართებლით თავსა პარსავდა.

- რა ლითონისგანაა ჩამოსხმული ეგ შენი სამართებელიო, - ჰკითხა ხოჯამ.

- სუფთა ფოლადისააო, - მიუგო დალაქმა.

- მეც არა ვთქვი, თვალებიდან ნაპერწკლები რათა მცვივაო, - ჩაილაპარაკა ხოჯამ.

ხოჯას ვირი მოუკვდა, ძალიან დაღონდა, ცრემლებს ვედარ იკავებდა. მეზობელმა დაამშვიდა:

- არაფერია, ხოჯა, ღმერთი კიდევ მოგცემსო.

- არა, ძამო, შენ მე მასწავლი ჩემი ღმერთის ამბავს, - სამ თუმან ნაკლებ ვირს ის მე არ მომცემსო.

დაღლილი ხოჯა გზაზე ძლივს მილასლასებდა. უცებ ვირის ნაღს მოჰკრა თვალი; აიღო და გახარებულმა წამოიძახა:

- ახლა სამი ნალი და ერთი ვირილა მაკლია, რომ ფეხით მეტი აღარ ვიაროო.

ხოჯას ერთი ვირი ჰყავდა და ისიც არ დაკარგა?! ბაზარში ჩაეიდა გაბრაზებული და ხმამაღლა, ყველას რომ გაეგო, იწყო ძახილი:

- მშობლები უცხოხოს აღაპმა, ვინც ჩემ ვირს მაპოვნინებს და მომიყვანს, სამაგიეროდ მის მომყვანს იმ ვირს ვაჩუქებო.

გაკვირებულმა ხალხმა ჰკითხა ხოჯას:

- შენ თუ ნაპოვნ ვირს ისევე გააჩუქებ, რაღად ეძებო?

- კარგად მოგეხსენებათ, დაკარგულს პოვნა რა დიდი სიამოვნებაა, მაგრამ იმისი საჩუქრად გაცემა დიდზე დიდი გულუხვობააო.

ტესტი - იუმორის გრძნობა

ზომბიერტი, თვლის, რომ მას არ გააჩნია იუმორის გრძნობა. სიმართლეა თუ არა? შეამოწმეთ.

ყოველ კითხვას უპასუხეთ „კი“ ან „არა“

1. გიყვართ სიცილი?
2. თუ შეგიძლიათ სიცილით გამოხვიდეთ არასასიამოვნო სიტუაციიდან?
3. ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ ქორწინება (დაოჯახება) სასაცილო რამეა?
4. იცინით თუ არა, როცა მარტო ხართ და კითხულობთ ან უყურებთ ტელევიზორში რაიმე სასაცილოს?

5. თუ შეამჩნიეთ, რომ გატყუილებენ, შესძლებთ თუ არა ამის დამალვას?

6. ყვებიან თუ არა თქვენი ახლობლები, მეგობრები ანეკდოტებს, მხიარულ ამბებს?

7. თუ გსურთ ყურადღების ცენტრში ყოფნა?

8. გაღიზიანებთ თუ არა სხვების სიცილი?

9. კომედიას თუ ამჯობინებთ სხვა ჟანრს?

10. თქვენ რა აზრის ხართ საკუთარ თავზე, თვლით თუ არა, რომ გაგაჩნიათ იუმორის გრძნობა?

შედეგი:

თუ „კი“ უპასუხებთ 6 ან მეტ შეკითხვაზე, იუმორს რაც ეხება, ყველაფერი წესრიგში გაქვთ და ეს ცხოვრების მძიმე წუთებშიც გემარებათ.

თუ „კი“ 6-ზე ნაკლები გაქვთ, ე.ი. საკმაოდ სერიოზულად უყურებთ ცხოვრებას, ეცადეთ სხვა კუთხით შეხედოთ სინამდვილეს. ცხოვრებაში ბევრი რამ გულთან ახლოს არ უნდა მიიტანოთ. ღიმილი, სიცილი - ჯანმრთელობის, სტაბილურობის და წარმატების მაჩვენებელია.

ლატარია
 552390
 5000

მოგებულებმა თან ექონიეთ მომგებიანი ბილეთი და პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელზეც მინიმუმ ნებულია საცხოვრებელი ადგილი.

24 იანვარს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

- | | |
|----------------------|-------------------|
| 5000 ლარი - №389715; | 70 ლარი - *04369; |
| 1000 ლარი - №472535; | 60 ლარი - *38884; |
| 900 ლარი - №152982; | 50 ლარი - *25926; |
| 800 ლარი - №754986; | 40 ლარი - *89973; |
| 700 ლარი - №298064; | 30 ლარი - *04805; |
| 600 ლარი - №675482; | 25 ლარი - **8868; |
| 500 ლარი - №572690; | 20 ლარი - **1248; |
| 400 ლარი - №188747; | 10 ლარი - ***936; |
| 300 ლარი - №503011; | 10 ლარი - ***856; |
| 200 ლარი - №469335; | 10 ლარი - ***969; |
| 100 ლარი - №413660; | 10 ლარი - ***373; |
| 90 ლარი - *79927; | 10 ლარი - ***132. |
| 80 ლარი - *72821; | |

„ლატარია ყველასათვის“ - გათამაშდება ყოველ პარასკევს მესამე ტირაჟში მოგებულ თანხები შევიდით მიიღოთ გორში 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შექმნის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთაველა და თბილისში: მოგებულ თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის საღაროებში 12-დან 14 სთ-მდე - 25 ლარი და 50 ლარი - შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე 50 ლარის ზეით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შექმნის ადგილზე (500-მდე). 1997 წლის III ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია 7383 გათამაშებაზე შეუძლიათ 24 იანვარს ტელევიზიის შერჩევაში მობრძანდნენ.

ატელმანქანა „ვაზ-2106“ მოიგო ლატარიის ბილეთმა №161167.

აუდიტ
 სერვისი
 EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის
 შეზღუდული პასუხისმგებლობის
 საზომობა

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გათავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურება და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუპჭინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

ლატარია

პირტიკალურად: 1. ლამპოჩიანი ნათელა; 2. ავსტრალიის ქალაქში დაბადებული ბიოლოგი; 3. აქვლზე მოთამაშე სამთა გვარი; 4. უბანი, რომელიც გუნდში „სოლის მღერის“; 5. „შავი ფრინველის“ საყვარელი მხები გეომეტრიაში; 6. ანსამბლ ივერიის წინსართი; 7. მთვარის სასუნავე; 8. წყალზე ან მდინარეზე ადრე გადასაყვანი ტრანსპორტი (რუსკავე); 9. „სამშობლოს“ მოყვარული სანაყი (რუსკავე); 10. უკვე მომწოდებული ქვეყანა; 11. „სონის ფორმის“ მფრინავი კაცუნა; 12. „ერის საყვარელი ფაიკა ტუხი“; 13. დახვეული ცრემლმდენი მცენარეული; 14. ანგინის მოსარჩენი წამალი; 15. მკვლევარი თევ, რომელშიც დაიბადნენ მირიანი და ანი; 16. „თათრების“ კრება; 17. ადგილი სახელში, რომელიც ამბობს, რომ „მე ასეთი ვარო“ (რუსკავე); 18. ქალღმერთის სახელობის ცეცხლოვანი მხატვარი; 19. საკვირველება მამის მოხდა, როცა „მძიმე სენით დაავადებულს“ წელში გააცია; 20. შაბათის იღუბი; 21. რამდენი

32. ანტონოვი; 33. ანტონოვი; 34. ანტონოვი; 35. ანტონოვი; 36. ანტონოვი; 37. ანტონოვი; 38. ანტონოვი; 39. ანტონოვი; 40. ანტონოვი; 41. ანტონოვი; 42. ანტონოვი; 43. ანტონოვი; 44. ანტონოვი; 45. ანტონოვი; 46. ანტონოვი; 47. ანტონოვი; 48. ანტონოვი; 49. ანტონოვი; 50. ანტონოვი; 51. ანტონოვი; 52. ანტონოვი; 53. ანტონოვი; 54. ანტონოვი; 55. ანტონოვი; 56. ანტონოვი; 57. ანტონოვი; 58. ანტონოვი; 59. ანტონოვი; 60. ანტონოვი; 61. ანტონოვი; 62. ანტონოვი; 63. ანტონოვი; 64. ანტონოვი; 65. ანტონოვი; 66. ანტონოვი; 67. ანტონოვი; 68. ანტონოვი; 69. ანტონოვი; 70. ანტონოვი; 71. ანტონოვი; 72. ანტონოვი; 73. ანტონოვი; 74. ანტონოვი; 75. ანტონოვი; 76. ანტონოვი; 77. ანტონოვი; 78. ანტონოვი; 79. ანტონოვი; 80. ანტონოვი; 81. ანტონოვი; 82. ანტონოვი; 83. ანტონოვი; 84. ანტონოვი; 85. ანტონოვი; 86. ანტონოვი; 87. ანტონოვი; 88. ანტონოვი; 89. ანტონოვი; 90. ანტონოვი; 91. ანტონოვი; 92. ანტონოვი; 93. ანტონოვი; 94. ანტონოვი; 95. ანტონოვი; 96. ანტონოვი; 97. ანტონოვი; 98. ანტონოვი; 99. ანტონოვი; 100. ანტონოვი.

პოლიტიკაიფიკაციები

1	2	3	4	5
6			7	
		8		
	9			10
		11		
12		13		14
	15			16
	17	18		19
21			22	23
		24		
		25		26
		27		
28				29

თარაზულად: 6. გენერალი, რომელმაც დააჩოქა რუსეთი; 7. ჰერეს მოყვარული ინგლისელი დიპლომატი; 8. ამერიკის „სონიანი“ ექს-პრეზიდენტი; 11. „დუდაევი“; 12. ინდოეთის ზღვაში მოცურავე პოლიტიკოსი ქალის სახელი; 14. საბჭოთა არმიის „ხოლოინი“ სარდალი (რუსკავე); 15. რაში დებდა ბრალს გამსახურდია ოპოზიციას? 16. ქართველ კომუნისტთა ერთ-ერთი „მომხელელი“ (რუსკავე); 21. საქართველოს „მოხუცი“ ექს-სპიკერი; 23. კაცი, რომელმაც „ხრ-უშნოს“ ბორცვები დაადო; 27. ახერბაიჯანის ახლა ელჩი ადრე პრეზიდენტი; 24. „სუნელის“ მოყვარული რევოლუციონერი; 28. კავშირი პოლიტიკაში; 29. ბრეჟნევის „გამწეებელი“ თანამშემო.

შპკულად: 1. იტალიის „მარილიანი“ პრეზიდენტი (რუსკავე); 2. ის, რაც პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს; 3. საქართველოს „მსახური“ პრეზიდენტი; 4. პენსიანი „მოხუცი“ ჩეკისტი; 5. საბჭოეთის ხუმტურა ლიდერი; 9. ლენინის მამა; 10. მმართველი ორგანო სსრკ-ში; 13. „ბაშში“ მოცურავე ქართველი პოლიტიკოსი; 14. უმაღლესი საბჭოს „ახალი“ წევრი (რუსკავე); 17. „წერისა და შიმშილობის“ მოყვარული ქართველი პოლიტიკოსი; 18. აშშ-ს „დაქლიავებული“ პრეზიდენტის სახელი; 19. „ქართული ქალაქის“ გენერალური მდივანი; 20. „უმრავლესი ხანის“ ბუღალტი; 22. რუსეთის „თითნაკლები“ პრეზიდენტი; 25. რაისას ამერიკელი კოლეგა; 26. საქართველოს „მრავალგზის“ პრემიერი.

არიან, ტოლები რომ არიან? 36. „კუ ნინების ანტი ადამიანური“ სახელწოდება; 38. „ვერდის“ შემოთავაზებული სადღეგრძელო სასომხეთში; 39. პორტი, სადაც „ფული იხახება“ (ინგკავე); 42. დირი, რომელსაც „არ“ უყვარს „ზინის ქვეშ ფოლა“ (რუსკავე); 46. საგანი, რომელიც „ომის დროს გასტრონომში ისწავლებოდა“; 47. „სტალინის სახელობის“ ქალაქი; 50. „ოლიანს“ საყვარელი ხაი; 51. ყანდი, რომელიც „სენით არაა დაავადებული“; 52. ქვა, რომელსაც „პატარა დათვი“ „შენ გესერის“ (რუსკავე); 54. „ინას და ოლიანს“ თმის სითხე; 56. დღევანდელი ცხოვრების სამუშაო ადგილი; 58. გვარი ზუგა უფროსის „შესტორისა“ (კინო); 59. „ცუდი“ პურის გამოსაცხობი ადგილი; 61. „ლომების დაპყრობილი“ ეკლესია ქვეში; 62. „სამი კვა“ (სოთრტერმ); 65. პურის „ოქებიანი“ მასალა; 67. დიდებული „ბრინჯიანი“ საქმე (რუსკავე); 68. „რატეული ცხოველის“, საყვარლის ზოდიაქო.

პირტიკალურად: 1. ერთ-ერთი თითის ტოლი კაცუნა; 4. ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ღელო, ის გადარჩა და ამ გახუტის ეწოდება. 8. „რუსული მაკნეს“ მოყვარული „დანისელული“ დასასვენებელი ადგილი ბაკურბანში (რუსკავე); 12. მსახიობი, რომელიც „მონღოლებულია პატარა დათვითან თამაშის“; 13. ცხენზე ამხედრებული „რძალი“; 14. „შალით შეფუთული“ ექსანი; 15. ინას, ნინას და ანტონას საყვარელი სახელი; 16. ის, რის ფოთლებიგანაც დაშქარია შემდგარი (სიმღ); 18. ნიას საყვარელი ფორუმი ძაღლი; 20. „მარგოს საყვარული“ ხილი; 21. „ეკას და მათეს სპორი“; 23. ის, რაც ბევრს ახერხებს უძელობის გამო; 24. გრძელი და „უმი“ ცხვირი; 27. „საკაილო“ ციხე; 28. მწერალი, რომელიც „სენმა“ შეიპყრო ანდრესის გადამკედვე; 32. „ნარდის მოყვარული ღეოს“ სათაყვანებელი სახელი; 34. „ბელას სახელობის აზური“ მანქანა; 35. თარის „შემცველი“ (რუსკავე); 37. „სენური“ თევზგადი; 39. მხატვარი, რომელიც „კომუნისტის პიკეს ასევე ავიდა“; 40. „საწინააღმდეგოდ“ მოქმედი ნელი და ტლანქი; 41. ხაკისფერი „მონა“ პრეზიდენტი (რუსკავე); 43. თბილისელი „ტოს“ საყვარელი ბისკეტი; 44. „სახტუნაო“ საწოლი; 45. „სონაში მადარი“ თურქული ქალაქი; 48. „ზევით მუსიკალური ნოტის დამკერი“ ღმერთი; 49. ბიოლზების „ზარმაცო“ მომდერალი (რუსკავე); 50. „ცაში და ტყეებში გაფრადებული“ მოღუნული სარტყელი; 53. მუსიკალური ნოტის პირველ და მეექვსე საფეხურზე შექმნილი საექვაი; 55. „ბინისი“, რომელსაც „მორფინისტი“ ეწეიან; 57. „სასოების ველი“ საიქოში; 60. „ისლით გადახურული“ ბურუსი; 63. სასწრაფო დახმარება, რომელმაც „დარდი გაუჩინა ბევრს“; 64. „ხიდზე“ მოსაწევი სოკარეტი; 66. „მანქანის სალონი“ ჩამოყალიბებული გუნდის სახელწოდება; 68. „კარზე მომდგარი ნაღებიანი“ სამეფო პირი; 69. „ნალზე დამგებულ“ ასაფეთქებელი; 70. ნიკოს და კოტეს „გამონ-აბოლქვი“; 71. „ფურტის სახელში“ ადგილი ნოტი (ნიეთი); 72. „აღბა“ ბენოს და ოურის დასაღვევი; 73. „უინის“ მოსაკლავი ჟრამული; 74. ბევრი „ქელით“ დაჯილდოებული ღმერთის შიკრიკი.

კობა ბაილოვნილი
წინა პიკეტირის პასუხები
 თარაზულად: 5. გალობა; 8. შუამთავი; 9. კობე; 11. კარდოსონი; 12. მამაშე; 13. სახა; 16. ბაიანი; 17. აქსიონა; 18. აქლექსი; 19. ცარცი; 21. შუალედი; 22. კიკე; 24. ბატბუტი; 27. არხარი; 29. ბახუსი; 30. პანტა; 32. ანტონოვი; 33. ბაია; 34. საბანი; 35. ადგეოთა.

შპკულად: 1. ლაიმა; 2. ხარმა; 3. ბაკენბარდი; 4. ბიკინი; 6. ატლასი; 7. ბანკირი; 10. ბისექსუ-ალური; 13. სახელი; 14. მამაშე; 15. ბიბილი; 18. აქცენტი; 20. ციკლონი; 23. ერეკანი; 25. ატამანი; 26. ბისტრო; 27. ანფასი; 28. ხოხობი; 30. პეტრე; 31. მინა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუპჭინის ქ. ა
 ბაჭყალის ინტექსტი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
 რედაქტორი: 93-20-36,
 რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს
 შიგნ. №06/4-444